შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№ 33-34 (10.040)

17 — 24 სექტემბერი 2022 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

ახალი სასწავლო წელი დაიწყო!

252 პირველკლასელი საჯარო, 18 კი კერძო სკოლაში ისწავლის

საქართველოს საჯარო სკოლებში ახალი სასწავლო წელი დაიწყო, სასწავლო პროცესი განახლდა დედოფლისწყაროს ყველა სკოლაში და საბავშვო ბაღში. პირველ კლასში 270-მა დედოფლისწყაროელმა ბავშვმა შეაბიჯა, აქედან 252 საჯარო სკოლებში ისწავლის, ხოლო 18 მათგანი ეპარქიის სკოლაში. საჯარო სკოლის პირველკლასელებს სახელმწიფომ ტრადიციულად კომპიუტერები გადასცა.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლების მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და მშობლებს ახალი სასწავლო წლის დაწყება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარემ ნუგზარ პაპიაშვილმა, მერის მოადგილე მალხაზ მერაბიშვილმა, საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ მიხეილ ბახუტაშვილმა და მერიის კულტურის სამსახურის უფროსმა თამარ თამაზაშვილმა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან და საკრებულოს მაჟორიტარ წევრებთან ერთად მიულოცეს.

თვითმმართველობის ხელმძღვანელებმა მოსწავლეებსა და მათ პედაგოგებს ნაყოფიერი და წარმატებული სასწავლო წელი უსურვეს.

„ახალი სასწავლო წლის დაწყება ყოველთვის გამორჩეული მოვლენაა, თუმცა, წელს განსაკუთრებულად ვგრძნობ თითოეული მშობლის ემოციას, რადგან ჩემი პატარა გოგონაც წელს პირველად წავიდა სკოლაში. გილოცავთ და თქვენი ცხოვრების ამ მნიშვნელოვან ეტაპზე მთელი გულით გისურვებთ წარმატებებს. მომავალი თაობა არის ჩვენი მთავარი იმედი და დიდი ინვესტიცია. ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რომ ბავშვებმა მაქსიმალური ხელშეწყობა იგრძნონ, რათა მომავალში ცოდნით შეიარაღებულები, სასიკეთოდ გამოადგნენ სამშობლოს და საკუთარ მუნიციპალიტეტს. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო გილოცავთ ახალი საწავლო წლის დაწყებას,“– აღნიშნა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის მონაცემებით დედოფლისწყაროს საჯარო სკოლებში სულ 2 513 მოსწავლეა, სკოლის ზარი კი პირველად 252 პირველკლასელისთვის დაირეკა.

ამ მნიშვნელოვან დღეს დედოფლისწყაროში იმყოფებოდა ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიის დროებითი მმართველი, მიტროპოლიტი თეოდორე ჭუაძე. მან მეუფე დიმიტრის საფლავთან პანაშვიდი გადაიხადა და საკათედრო ტაძარში პარაკლისი შეასრულა. ეპისკოპოსმწა ეპარქიის სკოლის მოსწავლეები დალოცა და ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცა. შემდეგ კი მოსწავლეებმა ტაძრიდან სკოლაში გადაინაცვლეს და ახალი სასწავლო წლის დაწყებისადმი მიძღვნილი ღონისძიება გახსნეს. დედოფლისწყაროს ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა-ინტერნატში 206 მოსწავლე ირიცხება და პირველ კლასში 18 მოსწავლეა. სკოლა საპატრიარქოს ბიუჯეტიდან ფინანსდება.

პირველი საჯარო სკოლის დაგეგმილი დემონტაჟის გამო ამ სკოლის მოსწავლეები დროებით ხორნაბუჯის საჯარო სკოლის შენობაში მეორე ცვლაში ივლიან.

ილია მარტყოფლიშვილი

პირველკურსელ სტუდენტთა რაოდენობა

	სკოლა	კურს-დამთავრ-ებული	ჩარიცხ-ული	50%	70%	100%
1	ქ დედოფლისწყაროს №1 სკოლა	50	37	5	3	2
2	ქ დედოფლისწყაროს №2 სკოლა	19	6			
3	ხორნაბუჯის საჯარო სკოლა	19	4		1	
4	სამრეკლოს საჯარო სკოლა	14	7			
5	ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლა	17	11	1	1	
6	არბოშიკის საჯარო სკოლა	8	2			
7	გამარჯვების საჯარო სკოლა	8	2			
8	ოზაანის საჯარო სკოლა	5	3			
9	ზემო ქედის №1 საჯ სკოლა	13	7	1		
10	ზემო ქედის №2 საჯ სკოლა	5	2	1		
11	არხილოსკალოს საჯარო სკოლა	10	6	1		
12	ქვემო ქედის საჯარო სკოლა	9	6	2		
13	სამთაწყაროს საჯარო სკოლა	14	3	1		
14	ფიროსმანის საჯარო სკოლა	7	1			
15	საბათლოს საჯარო სკოლა	6	2			

გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას!

C M Y K

„კონსულტაციის დღე შენს მუნიციპალიტეტში“

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული საგენტო, მიწის სისტემური რეგისტრაციის საკითხებზე მოქალაქეთათვის საკონსულტაციო შეხვედრებს მართავს.

„კონსულტაციის დღე შენს მუნიციპალიტეტში“ - საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში მიწის სისტემური რეგისტრაციის სახელმწიფო რეფორმის შესახებ მოსახლეობას დეტალური ინფორმაცია საჯარო რეესტრის წარმომადგენლებმა მიაწოდეს.

მუნიციპალიტეტი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი
დედოფლისწყარო	სამთაწყარო - მარტი; ფიროსმანი - მარტი;	მირზაანი - მარტი; ოზაანი - მარტი.	გამარჯვება - ივნისი; საბათლო - ივნისი;
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო — საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო **მიწის სისტემური რეგისტრაციის რეფორმის ფარგლებში კონკრეტულ ადმინისტრაციულ ერთეულებში საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების დაწყების დრო**			
	დედოფლისწყარო - ნოემბერი; სამრეკლო - ნოემბერი; ხორნაბუჯი - ნოემბერი; ზემო ქედი - ნოემბერი; ქვემო ქედი - ნოემბერი.		არბოშიკი - ივნისი; არხილოსკალო - ივნისი; ზემო მაჩხაანი - ოქტომბერი.

მიწის სისტემური რეგისტრაციის რეფორმის ფარგლებში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში საკადასტრო აზომვითი სამუშაოები მიმდინარე წლის მარტში სამთაწყაროდან და ფიროსმანიდან დაიწყო.

აქვე გთავაზობთ კონკრეტულ ადმინისტრაციულ ერთეულებში საკადასტრო აზომვითი სამუშაოების დაწყების გრაფიკს.

ოფთალმიჯის მორიგი ვიზიტი დედოფლისწყაროში

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 30 სექტემბრიდან თვალის მიკროქირურგიის ჯავრიშვილის კლინიკა „ოფთალმიჯი“ განაახლებს მობილურ მომსახურებას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში.

როგორც ყოველთვის, მოხდება როგორც პაციენტების გასინჯვა, ასევე საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით გათვალისწინებული კატარაქტის ოპერაციების ჩატარება. ასე რომ, თქვენ შეგიძლიათ, მიაკითხოთ „ოფთალმიჯის“ მობილურ კლინიკას დედოფლისწყაროს ცენტრში (სპორტდარბაზის ეზოში) როგორც წინასწარი ჩაწერით, ასევე ჩაუწერლადაც **30 სექტემბერს დილის 10 საათიდან.**

მობრძანდით, კმაყოფილი დარჩებით, თქვენ მოგემსახურებიან მაღალი კვალიფიკაციის გამოცდილი კადრები!

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: **599 53 44 97**

კოვიდ სტატისტიკა დედოფლისწყაროში

2020 - 2022 წლებში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მასშტაბით სულ 7 874 კოვიდ პაციენტი დაფიქსირდა. მათ შორის 2020 წელს - 667, 2021 წელს - 3874, ხოლო 2022 წელს დღეის მდგომარეობით დაფიქსირებულია 3 334 დადასტურებული შემთხვევა.

როგორც დედოფლისწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში გაზეთ „შირაქს“ განუცხადეს, წელს მეტნაკლებად სტაბილური ვითარება იყო, თუმცა, მდგომარეობა აგვისტოს თვიდან გამწვავდა. სწორედ აგვისტოში დაფიქსირდა დადასტურებული შემთხვევების მკვეთრი მატება.

„განსაკუთრებით შემთხვევების მატება აღინიშნება მიმდინარე წლის აგვისტოს თვიდან. ივლისში იყო 115 დადასტურებული შემთხვევა, აგვისტოში – 320, სექტემბერში 14 სექტემბრის მონაცემებით უკვე 152 კოვიდ პაციენტია დაფიქსირებული. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ბევრ შემთხვევაში, როდესაც დაავადება მიმდინარეობს შედარებით მსუბუქად, მოსახლეობა არ იტარებს კოვიდ ტესტირებას და ოფიციალური დაფიქსირების გარეშე, ბინაზე მკურნალობს. ჩვენთან ვირუსის შტამის განსაზღვრა არ ხდება. ზოგადად ქვეყანაში ომიკრონია უფრო გავრცელებული,“ – განუცხადა „შირაქს“ დედოფლისწყაროს მთავარმა ეპიდემიოლოგმა ლალი ალადაშვილმა.

ჩვენ დედოფლისწყაროში კოვიდ ვირუსით გარდაცვლილთა ჯამური სტატისტიკითაც დავინტერესდით. ოფიციალური მონაცემებით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში პანდემიის დაწყებიდან დღემდე კოვიდ გარდაცვლილია სულ 81 პირი. მათ შორის 2020 წელს -12 ადამიანი, 2021-ში – 50 მოქალაქე, ხოლო 2022 წელს -19 პაციენტი.

გარდაცვლილი პაციენტების დიდი ნაწილი ახალგაზრდა იყო, მათი აბსოლუტური უმრავლესობა კი აუცრელი. ასევე უდროოდ, 46 წლის ასაკში კოვიდგართულებით გარდაიცვალა დედოფლისწყაროს ეპისკოპოსი დიმიტრიც.

ცენტრალური სტადიონის განახლება გრძელდება

ქალაქ დედოფლისწყაროში, 9 ძმის ქუჩაზე არსებული ცენტრალური სტადიონის ავარიული მესერის რეაბილიტაციის პირობა მუნიციპალიტეტის მერმა დადო. როგორც „შირაქმა“ გაარკვია, 31 აგვისტოს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტმა უკვე გამოაცხადა ტენდერი, რომელიც ხსენებული ავარიული მესერის დემონტაჟს და მის ნაცვლად, ახალი დეკორატიული მესერის მშენებლობას ითვალისწინებს.

სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით, სამუშაოების შესრულების ვადა მიმდინარე წლის 15 დეკემბრამდეა. მისი სავარაუდო ღირებულება კი 225 628 ლარია. აქვე შედის რუსთაველის ქუჩაზე ბავშვთა გასართობი მოედნის და მინი სტადიონის მოწყობის ხარჯებიც.

მესერის ზედა ნაწილი, დაახლოებით 12 წლის წინ ძლიერი ქარის დროს გადავარდა და მის ნაცვლად სინკარები ჩაალაგეს. სტადიონის მესერის პრობლემა გადაიჭრა, მაგრამ უსახური იყო. ქალაქის მთავარი სტადიონი მხარეთმცოდნეობის მუზეუმის წინ მდებარეობს, სადაც ნებისმიერ სეზონზე ყოველდღიურად უამრავი სტუმარი და ტურისტი მოდის. ამდენად, მისი ამ მდგომარეობაში ხილვა, არცთუ სახარბიელოა ჩვენი ქალაქის იმიჯისთვის.

ადგილობრივებს კარგად ახსოვთ, ეს სტადიონი მრავალი ათეული წლის განმავლობაში უყურადღებოდ იყო მიტოვებული. სხვადასხვა სპორტული აქტივობები იმართებოდა, თუმცა, შენობა საშინლად ავარიული იყო, სკამები არ არსებობს და მაყურებელს გულშემატკივრობა ფეხზე დგომით უწევდა. 2019 წლის თებერვალში სტადიონს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ესტუმრა და ამ ვითარებას ადგილზე გაეცნო. შეხვედრაზე ითქვა, რომ ადგილობრივი მერია და ფეხბურთის ფედერაცია ერთად ეცდებოდნენ სტადიონის ინფრასტრუქტურის განვითარებას. მისი რეაბილიტაცია ბოლო ორი წელია დაიწყო, თუმცა რაკი ერთბაშად დიდ თანხებს მოითხოვს, აღდგენითი სამუშაოები ნაწილ-ნაწილ მიმდინარეობს. მთლიანად აღდგენილია შენობა, სადაც საშხაპეები და ყველა საჭირო ინფრასტრუქტურა მოეწყო. სწორედ ბოლო ორი წელია სტადიონი ყველაზე ხალხმრავალ ადგილად იქცა.

მადლობის სიგელები გუბერნიისგან

კახეთის სამხარეო ადმინისტრაციამ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოში დასაქმებულ საჯარო მოხელეებს მადლობის სიგელები გადასცა.

როგორც გაზეთ „შირაქს“ გუბერნიის პრესსამსახურში განუცხადეს, ამ ჟესტით კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციას სურდა მადლობა ეთქვა იმ თანამშრომლებისთვის, რომლებიც მრავალი წელია საკუთარ მუნიციპალიტეტებში ამა თუ იმ მიმართულებით ნაყოფიერად და კეთილსინდისიერად მუშაობენ.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიაში „შირაქს“ უთხრეს, რომ მადლობის სიგელი დედოფლისწყაროს მერიის სამმა თანამშრომელმა მიიღო, თუმცა ეს მხოლოდ სიტყვიერ მადლობას გულისხმობს, ფულადი ჯილდო გათვალისწინებული არ ყოფილა. მერიის პრესსამსახურის წარმომადგენლის, მაკა სულაშვილის განმარტებით, ამჯერად მადლობის სიგელი გადაეცა მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსს მარინა შეითნიშვილს, მერიის საფინანსო სამსახურის უფროსს ელენე ბაიაშვილს და მერიის მოქალაქეთა მომსახურების ბიუროს წარმომადგენელს სოფო პაპუაშვილს.

მარინა შეითნიშვილი და ელენე ბაიაშვილი ათი წელია მერიის გამორჩეულად აქტიური თანამშრომლები არიან და ხშირად არასამუშაო საათებშიც საქმეში ჩაფლულნი მუშაობენ.

გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, გუბერნიამ მსგავსი სიგელები კახეთის რვავე რაიონში რამდენიმე მოხელეზე გასცა.

ოზაანის სკოლის მშენებლობა დაიწყო

ოზაანის საჯარო სკოლის შენობა ერთადერთია დედოფლისწყაროში, სადაც არცთუ სახარბიელო პირობებია. ძველ, ამორტიზებულ შენობაში სოფლის არაერთი თაობა გაიზარდა. ამდენად რთული ვითარება რაიონულ ცენტრს მკვეთრად მოწყვეტილ სოფლებშიც არ ყოფილა. წელს ახალი სასწავლო წელი სკოლამ 8 პირველკლასელით დაიწყო, ჯამში კი სკოლაში 95 მოსწავლეა. როგორც ოზაანის საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ნინო მეხრიშვილმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, ათეულობით წელია არასაკმარისი ფართის გამო სკოლას სასწავლო პროცესის წარმართვა ორ ცვლაში უწევს. ოზაანელები გვიამბობენ, რომ წლების წინ ორსართულიანი შენობა დაინგრა და ახალი სკოლის მშენებლობა დაიგეგმა. თუმცა, ზოგიერთი ადგილობრივის პირადი ინტერესების გამო პროექტი ჩაიშალა, სკოლა ვერ აშენდა და სოფელი დღემდე არასათანადო სასკოლო შენობის გარეშე რჩება.

გასულ წელს მრავალწლიანი პრობლემის გადასაჭრელად ახალი სკოლის მშენებლობა დაანონსდა, ტენდერი რამდენიმე თვის წინ ჩატარდა, გამოვლინდა კომპანია „ემ-სი-გრუპი“, რომელიც სამშენებლო სამუშაოებს ახორციელებს.

„როგორც დაგვპირდნენ დაიწყეს კიდეც მშენებლობა, მუშები ადგილზე არიან და სამუშაოები აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს. ამჟამად მოქმედი შენობიდან დაახლოებით 300-იოდე მეტრში შენდება, ცენტრალურ გზაზე,“ - ამბობს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ნინო მეხრიშვილი.

ოზაანის ბიბლიოთეკარი, ქრისტინე კიკილაშვილი გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას ამბობს, რომ სასწავლო ფართის სიმცირე სოფელს ყოველთვის ჰქონდა, რის გამოც სხვადასხვა გზების ძიება უწევდათ.

„ის წლებიც მახსოვს, როცა პირველი კლასები საბავშვო ბაღის შენობაში იყო განთავსებული და რამდენიმე წლის განმავლობაში ბაღის პირველი სართულზე არსებული ოთახები დაუთმეს. ორცვლიან სწავლებაზე იყვნენ, რაც ბევრ სირთულეს ქმნიდა. წლების მანძილზე, მათ შორის დღემდე, ორ ცვლაში სწავლობენ. ჩემი შვილიშვილები ახლაც ასე არიან და ბავშვებს ძალიან უჭირთ ამ რეჟიმში სიარული. სკოლის მშენებლობა ბევრს გაუადვილებს ყოფას და მრავალწლიან პრობლემას გადაჭრის, ამიტომ დიდი მოლოდინი გვაქვს“ - ამბობს ქრისტინე კიკილაშვილი.

2021 წლის თვითმმართველობის არჩევნებზე ერთერთი დაპირება სწორედ ოზაანისთვის ახალი სკოლის აშენება იყო. ამავე წლის ნოემბერში, ანუ არჩევნებიდან თვენახევარში დედოფლისწყაროს ეწვია განათლების სამინისტროს მიერ დაფუძნებული საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს ერთერთი მენეჯერი, არქიტექტორი გიორგი გაბიდაური და დედოფლისწყაროს მერს სკოლის მშენებლობის დეტალები გააცნო. მათ ერთობლივად შეარჩიეს და ადგილზე მოინახულეს ტერიტორია. საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ ტენდერი მიმდინარე წლის მარტში გამოაცხადა. საწყისი ბიუჯეტი იყო 2 979 254 ლარი. როგორც გაზეთ „შირაქს“ განათლების სამინისტროს პრესსამსახურში უთხრეს, ტენდერში სამი კომპანია მონაწილეობდა: შპს „რებილდი“, „მაგოილი“ და „ემ-სი გრუპი“. ყველაზე დაბალი ფასი მესამე კომპანიამ შესთავაზა, შესაბამისად ტენდერში „ემ-სი გრუპმა“ გაიმარჯვა, რომელმაც სკოლის აშენების პირობა 2 828 781 ლარად დადო. მხარეებს შორის ხელშეკრულება მიმდინარე წლის 31 მაისს გაფორმდა. შედეგად, სამშენებლო სამუშაოები კომპანიამ გათვალისწინებულზე ნაკლებ ფასში უნდა შეასრულოს. ბიუჯეტის სასარგებლოდ დაიზოგა 150 473 ლარი, ტენდერის გზით კომპანიების შერჩევის მთავარი მიზანიც ესაა.

სატენდერო პირობების თანახმად, სამშენებლო და სარემონტო სამუშაოები 2024 წლის მაისში უნდა დასრულდეს. პროექტის მიხედვით, ახლადგამოყოფილ მიწის ნაკვეთზე გათვალისწინებულია ორსართულიანი ახალი სკოლის მშენებლობა, ასევე ეზოში, სკოლის შენობის სამხრეთ მხარეს ხელოვნურსაფარიანი კომბინირებული სპორტული მოედნის მოწყობა. შენობა 120 მოსწავლეზეა გათვლილი და კომპანიას ამის სისრულეში მოსაყვანად 20 თვიანი გრაფიკი აქვს გაწერილი. ამ დროისთვის პირველი ეტაპის სამუშაოები უკვე დასრულებული უნდა ჰქონდეს, რაც გულისხმობს არსებული ნაგებობის დემონტაჟს, ტერიტორიის მოსწორებას და მოედნის დროებით შემოღობვა-განათების მოწყობას. სულ მალე კომპანია მშენებლობის მეორე ეტაპზე უნდა გადავიდეს. როგორც ამბობენ, ჩამორჩენა არ აქვთ.

მოედანზე უკვე ჩატარდა საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა. სპეციალისტების მიერ მომზადებულ დასკვნაში წერია, რომ ეს ტერიტორია მიეკუთვნება მარტივი კატეგორიის მიწას, არ შეინიშნება მეწყერი, გრუნტის წყლები და მდგრადია მშენებლობისთვის.

მეორე სართულზე განთავსებულია - ექვსი საკლასო ოთახი და ერთი კაბინეტი დაწყებითი საფეხურისათვის, რომლებიც გათვალისწინებულია 10-12 ინდივიდუალური მერხისათვის, ორი რეკრეაციული ზონა, დირექტორისა და ექიმის კაბინეტები, კანცელარია და ბუღალტერია არქივით, მანდატურისა და დაცვის ოთახი, სანიტარული კვანძების ბლოკები მოსწავლეებისა და ადმინისტრაციისთვის, მათ შორის, შეზღუდული უნარების მქონე პირთათვის, რომელიც თავის მხრივ ითვალისწინებს მთავრობის დადგენილებას. პირველ სართულზე განთავსებულია — ასევე ექვსი საკლასო ოთახი და ერთ კაბინეტი საბაზო და საშუალო საფეხურისათვის, ორი რეკრეაციული ზონა, ბიბლიოთეკა-კომპიუტერული კლასი წიგნსაცავით, სამასწავლებლო, სასწავლო ნაწილი, სანიტარული კვანძების ბლოკები და დამლაგებლის ორი სათავსო ხელსაბანებით.

როგორც „შირაქმა“ გაარკვია, მიწის ნაკვეთის ფართია — 4 662.00 კვ.მ, ხოლო სამშენებლო ფართი — 1 731კვ.მ (სასწავლო შენობა) 780კვ.მ (გარე სტადიონი); ჰოლი და დერეფნები — 242 კვ.მ; ადმინისტრაციული ფართი — 101 კვ.მ; სასწავლო დანიშნულების ფართი — 402 კვ.მ; სარეკრეაციო ფართი — 108 კვ.მ; სველი წერტილები — 64 კვ.მ;

პრემიერ მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით, იწყება 1 მილიარდი ლარის ღირებულების მასშტაბური პროექტი, რომელიც 800 სკოლის მშენებლობა-რეაბილიტაციას გულისხმობს. როგორც სამინისტროში აცხადებენ, სკოლებში თანაბრად ხელმისაწვდომი სასწავლო გარემოს შექმნის მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უმთავრეს პრიორიტეტს, მთელი ქვეყნის მასშტაბით, გამართული საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა წარმოადგენს. უწყების განმარტებით, პროექტის პირველი ეტაპი მიმდინარე წლის სექტემბერ-ოქტომბერში იწყება. ტენდერი 80 ახალი სკოლის მშენებლობასა და 320 სკოლის რეაბილიტაციაზე გამოცხადდება. დარჩენილი 400 სკოლის რეაბილიტაციის ტენდერი კი, 2023-2024 წლებში გამოცხადდება და 2026 წლის ბოლოსთვის, ჯამში, 800 სკოლის მშენებლობა-რეაბილიტაცია განხორციელდება. პროექტი საგანმანათლებლო რესურსებზე თანაბარ ხელმისაწვდომობასა და მათ გაუმჯობესებას უზრუნველყოფს. მისი განხორციელებით 230 000-ზე მეტი მოსწავლე ისარგებლებს. შედეგად, 2026 წლის ბოლოსთვის ყველა საჯარო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ინფრასტრუქტურულად გამართული იქნება.

ილია მარჯყოფლიშვილი

განათლების სამინისტრო სკოლებისთვის განახლებულ რეკომენდაციებს აქვეყნებს

განათლების და მეცნიერების სამინისტრო ახალი სასწავლო წლისთვის, გაუმჯობესებული ეპიდვითარების გათვალისწინებით განახლებულ რეკომენდაციებს აქვეყნებს.

როგორც უწყების მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციაშია აღნიშნული, გაუქმებულია სკოლის შენობაში დეზობარიერის გავლით შესვლის, თერმოსკრინინგის განხორციელებისა და პირბადის ტარების ვალდებულება. სკოლაში პირბადე საიზოლაციო სივრცეში მყოფმა და დადასტურებულ შემთხვევასთან კონტაქტირებულმა პირებმა 10 დღის განმავლობაში უნდა ატარონ. რაც შეეხება ჰიბრიდული სწავლების რეჟიმს, დისტანციური სწავლების რეჟიმის არჩევას გულისხმობს, სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ 2022-2023 სასწავლო წლიდან დისტანციური სწავლების არჩევის შესაძლებლობა ექნებათ მხოლოდ იმ მოსწავლეებს, რომლებიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო რისკჯგუფს წარმოადგენენ — შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობისა და მშობლის მიმართვის საფუძველზე, მათ ექნებათ საშუალება გადავიდნენ შინ სწავლების რეჟიმზე.

„15 სექტემბერს საქართველოს სკოლებში ახალი სასწავლო წელი იწყება. ქვეყანაში გაუმჯობესებული ეპიდემიოლოგიური ვითარების გათვალისწინებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, ჯანდაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობით, სკოლებისთვის განახლებული რეკომენდაციები შეიმუშავა. შემსუბუქებული რეკომენდაციების თანახმად, გაუქმებულია სკოლის შენობაში დეზობარიერის გავლით შესვლის, თერმოსკრინინგის განხორციელებისა და პირბადის ტარების ვალდებულება. სკოლაში პირბადე საიზოლაციო სივრცეში მყოფმა და დადასტურებულ შემთხვევასთან კონტაქტირებულმა პირებმა 10 დღის განმავლობაში უნდა ატარონ. ამასთან, პირბადის ტარება მიზანშეწონილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მომუშავე სპეციალისტებისთვის იმ შემთხვევაში, თუ მათი სამუშაო მოითხოვს მოსწავლესთან პირისპირ კონტაქტს 1 მეტრზე ნაკლები დისტანციით.

ახალი სასწავლო წლიდან საკლასო ოთახებსა და დერეფნებში მოსწავლეებს შორის ერთმეტრიანი დისტანციის დაცვისა და მოსწავლეთა ცვლებში გადანაწილების ან საგაკვეთილო ცხრილის განტვირთვის მიზნით ჰიბრიდული სწავლების შემოღების ვალდებულებაც მოიხსნება. 2022-2023 სასწავლო წლიდან დისტანციური სწავლების არჩევის შესაძლებლობა ექნებათ მხოლოდ იმ მოსწავლეებს, რომლებიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო რისკჯგუფს წარმოადგენენ — შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობისა და მშობლის მიმართვის საფუძველზე, მათ ექნებათ საშუალება გადავიდნენ შინ სწავლების რეჟიმზე.

Covid-19-ის გამოვლენის შემთხვევაში, ვირუსის შიდა გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, სკოლის მასწავლებელი/თანამშრომელი ან/და სკოლის მოსწავლე დაექვემდებარება იზოლაციას ჯანდაცვის მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული ვადით. აღსანიშნავია, რომ COVID-19-ის დადასტურებულ შემთხვევასთან კონტაქტირებული პირები აღარ დაექვემდებარებიან კარანტინს. შესაბამისად, ვირუსის გამოვლენის შემთხვევაში, სკოლებზე არ გავრცელდება წერტილოვანი შეზღუდვები, რაც ცალკეული კლასის/კლასების ან სკოლის სრულად დისტანციური სწავლის მოდელზე გადასვლას გულისხმობდა. ამასთან, ახალი სასწავლო წლიდან სკოლებს არ ექნებათ ვალდებულება, ორ კვირაში ერთხელ ჩაატარონ მასწავლებელთა სავალდებულო ტესტირება“, - ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში. განათლების და მეცნიერების სამინისტროს ცნობითვე, განახლებული რეკომენდაციები სკოლის ტერიტორიაზე არსებული საკვები დაწესებულებებისა და სასკოლო წრეების შეზღუდვების მოხსნასაც ითვალისწინებს. შესაბამისად, 2022-2023 სასწავლო წლიდან საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში განახლდება სასკოლო ბუფეტებისა და სასკოლო წრეების ფუნქციონირება.

„სკოლებში ჯანსაღი და უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ კვლავ უზრუნველყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების აღჭურვა საჭირო რესურსების, ჰიგიენური საშუალებებისა და ინვენტარის მარაგით. გარდა ამისა, წელსაც გაგრძელდება სკოლებში უსაფრთხო გარემოს სისტემური მონიტორინგი, როგორც სამინისტროს წარმომადგენლების, ასევე, ადგილობრივი საგანმანათლებლო რესურსცენტრების მხრიდან.

შეგახსენებთ, რომ ახალი სასწავლო წლიდან საქართველოს სკოლებში პირველიდან მეთორმეტე კლასის ჩათვლით 632 726 მოსწავლე ისწავლის. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილებით, პირველ კლასში დარეგისტრირების შესაძლებლობა მიეცათ ბავშვებს, რომლებსაც 6 წელი 30 სექტემბრის ჩათვლით შეუსრულდებათ. საქართველოს სკოლებში ქვეყნის მასშტაბით ჯამში 55 717 პირველკლასელი დაიწყებს სწავლას, მათ შორის, 1 868 ბავშვი, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში პირველკლასელთა რეგისტრაციის წესში განხორციელებული ცვლილების საფუძველზე ჩაირიცხა. პირველკლასელთა გაზრდილი რაოდენობის გათვალისწინებით, სამინისტრომ დამატებით უზრუნველყო სკოლების შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსითა და ინვენტარით აღჭურვა“, - აცხადებენ უწყებაში.

ილიაუნი-ს დედოფლისწყაროს ფილიალი განახლდა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დედოფლისწყაროს კვლევითი ცენტრის შენობას ძირეული სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა. როგორც ილიაუნი-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტში გაზეთ „შირაქს“ განუცხადეს, ეს არ ყოფილა მხოლოდ კოსმეტიკური სარემონტო სამუშაოები. რეაბილიტირდა სამივე სართული, ინტერიერი და გარე ექსტერიერი.

ძირეული სარემონტო სამუშაოები შენობაში მიმდინარე წლის გაზაფხულზე დაიწყო და რამდენიმე თვის განმავლობაში გრძელდებოდა. პროცესი სულ მალე დასრულდება. ასეთი მასშტაბური სამუშაოები აქ მას შემდეგ არ განხორციელებულა, რაც შენობაში ილიას უნივერსიტეტის ფილიალი მოქმედებს.

ადგილობრივებს კარგად ახსოვს, რომ ილიას უნივერსიტეტის კვლევითი ცენტრი ქალაქ დედოფლისწყაროს №3 საჯარო სკოლის ყოფილ შენობაში განთავსდა. სკოლის გაუქმებისა და მეორე სკოლასთან შერწყმის შემდეგ ეს შენობა დიდი ხნის განმავლობაში უყურადღებოდ იყო მიტოვებული და ნადგურდებოდა. შემდეგ სააკაშვილის ხელისუფლების დროს, 2009 წელს, ქალაქ **დედოფლისწყაროში რუსთაველის ქუჩაზე მდებარე ეს შენობა სახელმწიფომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს სიმბოლურ ფასად, 1 ლარად აჩუქა.**

ის, რომ ორი ამხელა შენობა 1 ლარად შეიძინეს, ეს ინფორმაცია მაშინ გაზეთ „შირაქს“ ილიაუნის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტშიც დაუდასტურეს, თუმცა, დაამატეს, რომ შეთანხმებით გათვალისწინებული პირობების თანახმად, შენობას საგანმანათლებლო პროფილი აუცილებლად უნდა შეენარჩუნებინა.

აღსანიშნავია ისიც, რომ სასწავლო პერიოდებში დედოფლისწყაროს ფილიალში ყოველდღიური ლექციები არ მიმდინარეობს. შენობა ძირითადად კვლევითი ცენტრის ფუნქციას ასრულებს. სწორედ ილიაუნის მეცნიერები ახორციელებენ დედოფლისწყაროს სხვადასხვა ლოკაციებზე არქეოლოგიურ გათხრებსა თუ სხვა სახის კვლევით სამუშაოებს. ილიაუნი ამ ბაზას თბილისში შესაბამისი ფაკულტეტების სტუდენტების დროებით ჩამოსაყვანად იყენებს. სხვადასხვა სპეციალობების სტუდენტები აქ ჩამოდიან და უშუალოდ ველზე, პრაქტიკულ სამუშაოებში მონაწილეობენ.

კვლევითი ცენტრის პარალელურად, ილიაუნის ფილიალში სასტუმროც მოქმედებს, რომელიც ხშირად მასპინძლობს როგორც სასწავლებლის, ისე რაიონში ჩამოსულ სხვა სტუმრებსა და თავად სტუდენტებს. საკონფერენციო დარბაზიც ხშირად იმართება როგორც სამთავრობო შეხვედრები, ისე საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელთა პროექტების პრეზენტაცია თუ კონფერენციები.

იმ მიზეზით, რომ შენობაში ძირეული სარეაბილიტაციო სამუშაოები უნდა დაწყებულიყო, რამდენიმე თვის წინ მოიშალა თიხის უნიკალური არტეფაქტების მუდმივმოქმედი გამოფენა, რომელიც ფილიალის პირველ სართულზე, მთავარ ფოიეში იყო განთავსებული. შენობაში შესვლისთანავე დედოფლისწყაროს ისტორიული ნივთები იპყრობდა სტუმრების ყურადღებას. ყველა ექსპონატი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იყო აღმოჩენილი. ამაზე პროფესორ კიაზო ფიცხელაურის ხელმძღვანელობით სპეციალისტთა ჯგუფი ათ წელზე მეტხანს მუშაობდა. უკვე აღდგენილ-რესტავრირებული თიხის ჭურჭელი სპეციალურ თაროებში მრავალი წლის მანძილზე იყო გამოფენილი. ახლა კი ეს ყველაფერი საჩუქრად დედოფლისწყაროს კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრს გადაეცა. კიაზო ფიცხელაურის გადაწყვეტილებით, მრავალწლიანი საგანძური, რომელიც დედოფლისწყაროს ისტორიის განუყოფელი ნაწილია, სწორედ დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში იქნება დაცული და პერიოდულად გამოფენილი.

დედოფლისწყაროს კვლევით ცენტრში ასევე მიმდინარეობდა ჩვენს ტერიტორიაზე აღმოჩენილი თიხისა თუ ლითონის ექსპონატების გაწმენდა-დამუშავება და აღდგენა-რესტავრაცია. გასული წლების მანძილზე ამ სამუშაოებში ილიაუნის პროფესორებთან ერთად სტუდენტებიც იყვნენ ჩართულნი. ამ კუთხით, ასეთი ფილიალის დედოფლისწყაროში არსებობა მნიშვნელოვნად შეიძლება შეფასდეს, რადგან ფილიალის გახსნამდე ამგვარი სამუშაოები წლობით ჭიანურდებოდა, ან აღმოჩენილი ფრაგმენტები და არტეფაქტები სხვა ქალაქებში მიჰქონდათ. ახლა კი ყველა პროცესი ადგილზე მიმდინარეობს. მომავალი არქეოლოგები და რესტავრატორები კი საკუთარ პროფესიულ უნარჩვევებს სწორედ დედოფლისწყაროში ავითარებენ.

უფროს თაობას ემახსოვრება, რომ მესამე სკოლა ორ სასწავლო კორპუსში იყო განთავსებული. ამჯერად რესტავრირებული სამსართულიანი შენობის გვერდით, ამაზე ეზოში კიდევ ერთი ასეთი შენობა დგას, რომელიც ასევე მათ 1 ლარად გადაეცა. ილიას უნივერსიტეტს მეორე კორპუსი არც მაშინ აღუდგენია, როცა აქ მუშაობა დაიწყო. ის ისევ ისე დგას, ფანჯრებგაძარცვული და კიბის საფეხურებდაცლილი.

ილია მარტყოფლიშვილი

რა სიახლეებით ხვდება ახალ სასწავლო წელს საპატრიარქოს სკოლა?

საპატრიარქოს სკოლა, რომელიც დედოფლისწყაროს წმინდა მეფე ვახტანგ გორგასალის სახელობის სკოლა-ინტერნატის სახელით 2014 წლიდან მოქმედებს, ადგილობრივებში პოპულარობით სარგებლობს. მიუხედავად იმისა, რომ აქ სწავლა ფასიანია, სკოლაში მუდმივად ადგილების დეფიციტია, რის გამოც მშობლებს ხშირად ერთი წლით ადრე, ნულოვან კლასში შეჰყავთ შვილები, რომ სამომავლოდ ადგილი მოიპოვონ. რა სიახლეებით ხვდება ახალ სასწავლო წელს დედოფლისწყაროში მოქმედი ერთადერთი კერძო სკოლა, ამის შესახებ გაზეთი „შირაქი“ სკოლის დირექტორს, თეა სხირტლაძეს ესტუმრა

—— კლასში მაქსიმალური დასაშვები რაოდენობა 18-ია, ამიტომ წელსაც პირველ კლასში 18 მოსწავლე გვყავს. პრე-კლასშიც ასევე 18 მომავალი პირველკლასელი დავარეგისტრირეთ. ჯამში, ახალი სასწავლო წელი 206 მოსწავლით დავიწყეთ. გარკვეული სიახლეებიც რა თქმა უნდა გვაქვს, რომელიც მოსწავლეებს დავახვედრეთ. მთელი ზაფხულის განმავლობაში ვმუშაობდით ამისათვის.

—— მეუფე დიმიტრი მოუთმენლად ელოდა ამ დროს, როცა მეთორმეტე კლასი გეყოლებოდათ. სამწუხაროდ, ის ვერ მოესწრო ამ დღეს... წელს ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდი გაქვთ, როცა პირველად გექნებათ „ბოლო ზარი“ და გეყოლებათ აბიტურიენტები...

—— დიახ, წელს პირველად გვყავს დამამთავრებელი მეთორმეტე კლასი. გვინდოდა, ჩვენი სკოლაც პირველ თაობასთან ერთად გაზრდილიყო. მეუფე დიმიტრი სულ ამას ამბობდა, რომ ისე უნდა მოვმზადებულიყავით ამ პერიოდისთვის, რომ ყველა მოსწავლეს მაქსიმალურად დავდგომოდით გვერდით და უმაღლეს სასწავლებლებში საუკეთესო შედეგები ეჩვენებინათ. ყველა პედაგოგს სთხოვდა, რომ ყველაფერი გაეკეთებინათ, მთელი ძალისხმევა და ენერგია დაეხარჯათ მათთვის. ისედაც არაფერს ვაკლებთ, მაგრამ გაასმაგებული ყურადღება დაეთმობა დამამთავრებელ კლასებს.

წელს ჩვენს მოსწავლეებს საგნობრივ წრეებში ვთავაზობთ დამატებით უფასო მეცადინეობას. კიდევ უფრო მეტად რომ გაიღრმავონ ცოდნა, არამარტო სასკოლო პროგრამის ფარგლებში. აგრეთვე, სურვილის შემთხვევაში, მოხდება ეროვნული გამოცდების მსგავს ტესტებზე დამატებითი მუშაობა.

—— უფრო კონკრეტულად რომ გვიამბოთ, რა სიახლეებით შეხვდით ახალ სასწავლო წელს?

—— სასკოლო ბიბლიოთეკაში მოხდა ახალი ინვენტარის შეტანა, გავალამაზეთ სამკითხველო სივრცე. ასევე, გარე სპორტული მოედნის კედლები გაკეთდა და შეიღება, ამჟამად მიმდინარეობს ბუნებრივი საფარის დაგება. გაკეთდა დაახლოებით 250 კვადრატული მეტრი ფართობის სათავსო. ამას გარდა, მოხდა კომპიუტერული ტექნიკის დამატება. აქტიურად მიმდინარეობს ეზოს კეთილმოწყობითი სამუშაოები. რამდენიმე დღის წინ სამშენებლო მასალის ნარჩენები გავიტანეთ, ეკო-სკვერიც გაკეთდა ეზოში. საშუალო საფეხურზე მოსწავლეებისთვის იკერება ახალი მოდელის ფორმები. გადავწყვიტეთ, რომ დაწყებითი და საბაზო საფეხურის მოსწავლეებისთვის ერთი მოდელის ფორმა გვექნება და საშუალო საფეხურზე უფრო განსხვავებული.

—— თქვენს სკოლაში სწავლა ფასიანია, თუმცა, მოქმედებს შეღავათებიც გარკვეულ შემთხვევებში...

—— სასულიერო პირის შვილებისთვის, დედმამიშვილებისთვის და თუ ოჯახიდან 4 დედმამიშვილია სკოლაში, ყველა გათავისუფლებულია გადასახადისგან. სამწუხაროდ, ჩვენი შეღავათები კვებით უზრუნველყოფას ვერ ითვალისწინებს, რადგან კვება არის დამატებითი მომსახურება.

—— გასულ წელს ხშირად გვიამბობდით მოსწავლეთა სხვადასხვა პროექტში მიღწეული წარმატებების შესახებ. ამჯერად რა მოლოდინები გაქვთ ამ სასწავლო წლისგან?

—— ზაფხულში გაზეთი „შირაქი“ უკვე წერდა, რომ თელავში, საქართველოს მასშტაბით ნიკო კეცხოველის სახელობის კონკურსში ჩვენი სკოლა მაღალი ქულებით პირდაპირ ფინალში მოხვდა. დედოფლისწყაროდან კიდევ სამი სკოლა იყო წარმატებული, მაგრამ ჩვენ ნახევარფინალში ბრძოლა აღარ დაგვჭირდა, იმდენად კარგი შედეგი აჩვენეს ბავშვებმა. ახლა ფინალში ჩვენ და მეორე საჯარო სკოლაში მოქმედი ეკოკლუბი ვიბრძოლებთ. გვაქვს იმედი, რომ ჩვენს სკოლაში მოქმედი ეკო-კლუბი „ეკოლოგების“ მოსწავლეები ფინალშიც წარმატებას მიაღწევენ. საკმაოდ ეფექტური და საინტერესო აქტივობები განახორციელა ამ კლუბმა და ეს კონკურსი ბევრი რამით იყო საინტერესო ჩვენთვის.

—— როგორი გუნდი მუშაობს ბავშვებთან და რას იტყვით პედაგოგების კომპეტენციაზე?

—— ჩვენ სკოლას ჰყავს საუკეთესო გუნდი, არა მარტო პედაგოგების, არამედ ტექნიკური პერსონალის მხრივაც, არის ერთსულოვანი და კოლეგიალური გუნდი. ყველა მაქსიმალურად ცდილობს პირნათლად შეასრულოს თავისი მოვალეობა და უფრთხილდებიან და აფასებენ ერთმანეთის შრომას. ეს კი, დამეთანხმებით, ძალიან მნიშვნელოვანია ეფექტური მუშაობისთვის.

ვფიქრობ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წელი იქნება ჩვენთვის, გამომდინარე იქიდან, რომ წელს დამამთავრებელი კლასი გვყავს და ცხადია, წარმატების იმედიც გვაქვს. აუცილებლად მივიღებთ მონაწილეობას სპორტულ შეჯიბრებებში, დაგეგმილია სხვადასხვა სახის ტრენინგები მასწავლებლებთან და ჩამოყალიბებულია საგნობრივი წრეები, ინფრასტრუქტურის განვითარების მხრივაც დაგეგმილია სამუშაოები. ვფიქრობ, რომ თუ ისეთივე შემართებით გავაგრძელებთ მუშაობას, როგორც დღემდე ვაგრძელებდით, კიდევ უფრო წარმატებული იქნება ჩვენი სკოლა

—— რაკი ყველაფრის ფასები იმატებს, ხომ არ არის თქვენთანაც მოსალოდნელი გადასახადის ზრდა?

—— არ გაზრდილა და დღევანდელი მდგომარეობით, მინდა გითხრათ, რომ არც ახლო მომავალში არ ვფიქრობთ ფასის ზრდას.

გვერდი მოამზადა

ილია მარტყოფლიშვილმა

შეფ-მზარეული ძმები ზემო მაჩხაანიდან

შეფ-მზარეული ძმები ბენაშვილები გასულ წელს ტელეეკრანზე პოპულარულ კულინარიულ შოუში გამოჩნდნენ. მაშინვე ითქვა, რომ ისინი დედოფლისწყაროს სოფელ ზემო მაჩხაანიდან იყვნენ. დიმიტრი და ომიკო ბენაშვილები ჟიურის გაოცებასა და ტურიდან ტურში გადასვლას სწორედ კახური კერძების მომზადებით ახერხებდნენ. პირველ ჯერზე ძმებმა პროექტი ნაადრევად დატოვეს და ფინალამდე ვერ მივიდნენ, თუმცა წლევანდელ სეზონზე ორგანიზატორებმა კიდევ ერთი შანსი მისცეს და სპეციალურად გამართულ ვარსკვლავურ სეზონზე ცნობად სახეებთან დააწყვილეს. ამჯერად, პატარა ძმამ ყველა გამოწვევა დაძლია და პროექტის ფინალში ღირსეულად წარსდგა ჟიურისა და მაყურებლის წინაშე. „სამზარეულოს ომების“ ბოლო სეზონი ომიკო ბენაშვილისა და „კომედი შოუს“ მსახიობ ვახო ბიჭიკაშვილის წყვილმა მოიგო და მთავარი პრიზებიც მათ ერგო. გაზეთი „შირაქი“ პოპულარულ ძმებს შეხვდა და მათი ცხოვრების საინტერესო დეტალებით დაინტერესდა.

დიმიტრი ბენაშვილი: „სკოლიდანვე ხშირად ვიკრიბებოდით მეგობრები, ხან ოჯახებში, ხან ბუნებაში და ერთად გვიწევდა კერძების მზადება. ყველა აღნიშნავდა, რომ ყოველთვის ყველაფერი გემრიელი გამომდიოდა, მომწონდა მეც და ჩემს მეგობრებსაც. როცა გავიზარდეთ და ჩემი ხელის გემოს მიეჩვივნენ, მეხვეწებოდნენ, რომ ყველაფერი მე მომემზადებინა. უარს არასოდეს ვამბობდი, მიხაროდა ჩემი კერძები ასე რომ მოსწონდათ. სახლშიც ხშირად ვამზადებდი, ხან დედის დახმარებით, ხანაც დამოუკიდებლად. კარგად მახსოვს, 7 ან 8 წლის ვიქნებოდი, ახალი წლის სამზადისი იყო ოჯახში და პირველად გოზინაყი მოვამზადე დედის დახმარებით და სასწაული გამომივიდა. სკოლა დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანში დავამთავრე, აბიტურიენტი ვიყავი, მაგრამ ვერსად ვერ მოვხვდი. ამიტომ ვამჯობინე, თბილისში ერთერთ რესტორანში შემესწავლა კულინარია და საბედნიეროდ არც გამჭირვებია. ყველაფერს უცებ ვითვისებდი და ჩემს შეფ-მზარეულს უკვირდა, როგორ მალე ვითვისებდი. შეფ მზარეულს, თენგიზ ჩიღვინაძეს, რომელიც სამწუხაროდ გარდაცვლილია, დიდი წვლილი მიუძღვის ჩემს წარმატებაში და მისი მადლობელი ვარ.**

ომიკო ბენაშვილი: „ჩემი ძმა თბილისში რომ გადავიდა და მზარეულობის შესწავლის დროს წინ მიიწევდა, მეც წამოვიზარდე და სურვილი გამიჩნდა. მალე მეც იქ მივედი და კარგად გამომივიდა. შეფ-მზარეული ისე დაგვიდგა გვერდში, როგორც საკუთარი მამა. ამიტომაც, მინდა ეს გამარჯვება მის ხსოვნას მივუძღვნა. პროექტამდე მე და ჩემი ძმა ერთად ვმუშაობდით სასტუმრო-რესტორან „კოპალაში“ შეფ-მზარეულებად. შემდეგ ამ კონკურსის შესახებ ინტერნეტში ვნახე და მონაცემები ისე გავგზავნე, ჩემი ძმისთვის არ მითქვამს. როცა დარეკეს, გაუკვირდა, ეგონა ხუმრობდნენ. პირველ სეზონზე მე და ჩემი ძმა დუეტში გამოვჩნდით, ამ პროექტში ერთად ვიბრძოდით. ძალიან საინტერესოდ გავიარეთ მთელი პროექტი. ორივეს გული დაგვწყდა, რომ კონკურსს ოთხეულიდან გამოვეთიშეთ, სამწუხაროდ, პროექტი დავტოვეთ. ვფიქრობ, ღირსეულად წარვადგინეთ ჩვენი თავი. ნებისმიერ პროექტში რომ ძმასთან ერთად მოხვდე, ესეც ხომ დიდი მიღწევაა. ძალიან მაგარი გრძნობაა, როცა ძმასთან ერთად გიწევს ბრძოლა და მოწინააღმდეგე გუნდის დამაცხება. ერთმანეთის იმედი ყოველთვის გვაქვს და გვექნება. მეტსაც გეტყვით, ამჯერად, ამ სეზონზე ცალ-ცალკე გუნდში ვიყავით, მაგრამ ერთმანეთს რჩევებს ვაძლევდით, რომ პროექტი არცერთს დაგვეტოვებინა. თუმცა, ნახევარფინალიდან ვანიკო და ჩემი ძმა გავარდნენ. ძალიან დამწყდა გული, მე რომ დამეტოვებინა**

პროექტი, ისე არ ვინერვიულებდი, როგორც ძმაზე განვიცადე. საერთოდ არ გამხარებია ფინალში გადასვლა და თეთრი კიტელის მორგება დიმას გარეშე.

დიმიტრი: „ეს ყველაფერი მე შევასწავლე, მაგრამ მე უფრო ბედნიერი ვარ, რომ ომიკომ გაიმარჯვა. თავიდან, როცა ტელევიზიიდან დამირეკეს, არ მინდიდა მონაწილეობის მიღება, მაგრამ ძმას არ ვაწყენინე და დავდექით ერთად. ისედაც სულ ერთად ვართ, მაგრამ ამჯერად შოუში. „სამზარეულოს ომებმა“ დიდი წარმატება მოგვიტანა, ვინ იყვნენ დიმა და ომიკო ბენაშვილები, ეს ნათესავების და მეგობრების გარდა არავინ იცოდა, დღეს კი მთელი საქართველო გვცნობს, ქუჩაში მაჩერებენ, ფოტოების გადაღებას გვთხოვენ. ყველა გვეუბნება, მაგარი ძმობა გაქვთო. ეს ყველაფერი ჩემთვის ბედნიერებაა.**

—— რა მოგცათ ამ პროექტმა?

ომიკო: დიდი გამოცდილება მივიღე, ხალხის სიყვარული და ამ სფეროში უფრო მეტი განვითარება. იქ მისვლა ერთის მხრივ შეიძლება ითქვას რომ ადვილი არ არის. ბევრი ნიუანსია, პასუხისმგებლობა, ნერვიულობა, სტრესი. ბევრი შრომა და ძიება. ვფიქრობ, ძალიან კარგი გადაწყვეტილება მივიღეთ ამ პროექტში შესვლით, მიუხედავად ამდენი ნერვიულობისა და სტრესისა. დღევანდელი გადასახედიდან ამ პროექტს მოაქვს მეტი განვითარება ამ სფეროში, ცნობადობა და მეტი წარმატებები. მთავარია, გულით უნდა მოეჭიდო შენს საქმიანობას.

—— რას იტყვით ქიზიყურ სამზარეულოზე, რითი დაგეხმარათ კუთხური კერძები?

დიმიტრი: ყველამ კარგად იცის კახეთი როგორი მდიდარია ყველაფრით: მესაქონლეობით, მეღვინეობით, მიწათმოქმედებით და ა.შ. ყველაფერი მოდის ჩვენს მადლიან მიწაზე და შესაბამისად, კახეთი გამოირჩევა იმითაც, რომ გვაქვს კერძების მრავალფეროვნება. უფრო მეტად ხორციანი კერძების მრავალფეროვნება გვაქვს. მეტად მოქეიფე და ქიზიყურად რომ ვთქვათ, „პურიმჭამელი“ ხალხი ვართ.

ომიკო: ისევ და ისევ ჩემი ქიზიყი, ძალიან მიყვარს ჩემი მიწა წყალი, სადაც დავიბადე და გავიზარდე. ქიზიყური სამზარეულო იმით გამოირჩევა, რომ ძალიან გემრიელი კერძები გვაქვს თავის ხაშლამით, მწვადით, ჩობან ყაურმით და კიდევ ბევრი სხვა კერძებით. კუთხური კერძებიც ძალიან დამეხმარა, თანაც ისე დამეხმარა, რომ ტურიდან ტურში გადავდიოდი და სხვადასხვა ფერის კიტელებს ვირგებდი. პირველ სეზონზე მე და ჩემ ძმას გარე ტური გვქონდა, ბუნებში მოვამზადეთ ჩობან ყაურმა ძვლი მეთოდით. ახლა ამ სეზონშიც გვქონდა რამდენიმე ტური, სადაც კახური კერძები მოვამზადე. მქონდა ერთი ისეთი ტურიც, სადაც ხაშლამა მოვამზადე თანამედროვე სახით, მაგრამ ის გემო არ დამიკარგავს ხაშლამისთვის, რა განსაკუთრებული გემოც აქვს. მეორე ტურში მთელი საქართველო გავაერთიანეთ, დაკარგული ტერიტორიების ჩათვლით. მჯერა, ძალიან მალე დავიბრუნებთ ჩვენს ტერიტორიებს, ამ გაერთიანებულ საქართველოში ჩემი კუთხიდან წარვადგინე კახური სამზარეულო თანამედროვე სახით. ისე, რომ გემოები არ დამეკარგა. მთავარი იყო, გუდის ყველის და ტარხუნის ჩიფსი. მოგეხსენებათ, გუდის ყველს ტარხუნა ძალიან უხდება. კიდევ წარვადგინე კახური შილა ფლავი, გულღვიძლის ყაურმა კახურ რქაწითელ ღვინოში ჩახრაკული, საქონლის ხორცი ქიზიყურად, ეგრედ წოდებული (ჟარკოვი). ვფიქრობ, ჩემი ქიზიყი კარგად წარმოვაჩინე, როგორც ტელე ეკრანზე, ისე მთელ საქართველოში. მეამაყება, რომ ქიზიყელი და კერძოდ ზემო მაჩხაანელი ვარ.

—— ომიკო, რა პრიზები მოგცეს ფინალში?

– ფინალში მომცეს 10 000 ლარი, 4 დღიანი მოგზაურობა აბუდაბიში მეუღლესთან ერთად, კიდევ სხვადასხვა პატარა პრიზები და ფულადი პრიზები. აბუდაბიში სავარაუდოდ დეკემბერში ვფიქრობთ წასვლას, თუ არაფერი შეიცვალა. ამჟამად ბაკურიანში ვარ სასტუმროში, სასტუმროების ქსელმა „ინნ“-მა გადმომცა ვაუჩერი და აქ ვისვენებ ოჯახთან ერთად.

/გაგრძელება გვ.12/

„გვაქვს კონკრეტული გეგმა, როგორ მოვახდინოთ ქვეყნის მოდერნიზაცია“

გერმანიის კანცლერს, ოლაფ შოლცს შეხვდა საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი გერმანიაში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში. შეხვედრის შემდეგ გამართულ ბრიფინგზე პრემიერმა რამდენიმე საკითხზე ილაპარაკა, მათ შორის, საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესზე.

„მინდა, პირველ რიგში ვთქვა, რომ ჩვენი ხელისუფლება არის თანმიმდევრული იმ საკითხზე, რომელიც ეხება ჩვენი ქვეყნის გაწევრიანებას ევროკავშირში. ევროპული პერსპექტივა და ევროპული გზა ჩვენი ხალხის არჩევანია. ეს არის გზა და პროცესი, რომელიც არის შეუქცევადი და რომელიც ჩვენმა ხელისუფლებამ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მაქსიმალურად დააჩქარა. სწორედ, ჩვენი ხელისუფლების დროს მოვაწერეთ ხელი ასოცირების შეთანხმებას, თავისუფალ ვაჭრობას, მივიღეთ უვიზო რეჟიმი და ახლა უკვე ამ სიტუაციაში, ამ ისტორიულ დროს იქნა მიღწეული ისტორიული გადაწყვეტილება, რომელიც უკავშირდება ევროპული პერსპექტივის მონიჭებას. რაც შეეხება თქვენს კითხვას, თუ რამდენ ხანში წარმოგვიდგენია გაწევრიანება, ეს არ არის, რა თქმა უნდა, მხოლოდ სურვილზე დამოკიდებული, ეს არის პროცესი, რომელსაც ჩვენ ყველანი მაქსიმალური პასუხისმგებლობით მივყვებით. გვესმის, რომ ამის დაჩქარება შეუძლებელია, არის გარკვეული კრიტერიუმები, რომელიც ჩვენ უნდა შევასრულოთ და ამას სჭირდება ქვეყნის მომზადება იმ დღისთვის, როცა ქვეყანა გახდება ევროკავშირის წევრი. ჩვენ გვაქვს კონკრეტული გეგმა, თუ როგორ მოვახდინოთ ჩვენი ქვეყნის მოდერნიზაცია, გარდაქმნა, განვითარება, რეფორმების ჩატარება, სწორედ, ამას უკავშირდება იმ 12 რეკომენდაციის შესრულება, რომელიც მოგვცემს საშუალებას, მივიღოთ კანდიდატის სტატუსი. ჩვენ შესაბამისად, რა თქმა უნდა, გავაკეთებთ მაქსიმუმს იმისთვის, რომ რაც შეიძლება, მალე იქნას ეს მიღწეული, ეს არის ჩვენი გეგმა, ჩვენი ხედვა, რომელიც ჩვენი ხალხის სურვილებსა და ნებას გამოხატავს“, - აღნიშნა პრემიერმა.

ღარიბაშვილი აცხადებს, რომ საქართველოს მთავრობა ძალიან აფასებს გერმანიის მხარდაჭერას ევროინტეგრაციის გზაზე. მთავრობის მეთაურის თქმით, გერმანია ყოველთვის მხარს უჭერდა საქართველოს ევროპულ პერსპექტივას.

„როგორც ბატონმა კანცლერმა სულ ახლახანს აღნიშნა და ეს ჩვენ მოვისმინეთ რამდენიმე დღის წინ, ეს არის ბატონი კანცლერის პოზიცია, იგი მხარს უჭერს ჩვენი ქვეყნის გაწევრიანებას ევროკავშირში. გერმანია ყოველთვის მხარს უჭერდა ჩვენი ქვეყნის ევროპულ პერსპექტივას და ახლაც დადასტურდა აღნიშნული გადაწყვეტილებით. შესაბამისად, კიდევ ერთხელ მინდა გითხრათ, რომ ჩვენ ძალიან ვაფასებთ ჩვენი მეგობარი სახელმწიფოს, გერმანიის მხარდაჭერას ამ გზაზე, რომელსაც ეწოდება ევროპული ინტეგრაციის გზა. ჩვენ კარგად გვესმის, რომ ეს არის გზა, რომელიც ჩვენი გასავლელია, მაგრამ ამ გზაზე ჩვენ გვჭირდება პარტნიორების მხარდაჭერა, რომელიც გვაქვს და რომელიც აქ ბატონმა კანცლერმა კიდევ ერთხელ დაადასტურა“, - განაცხადა პრემიერმა.

როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, გერმანია მხარს უჭერს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, აძლიერებს ქართულ დემოკრატიას და ბოლო წლების განმავლობაში ქვეყნისთვის მილიარდ 300 მილიონ ევროზე მეტი აქვს დახმარების სახით გაწეული.

**„ჩვენ ძალიან მნიშვნელოვანი ისტორიული ეტაპის მოგსწრენი ვართ, ვინაიდან სულ ახლახან ჩვენ ევროპის ოჯახში ოფიციალურ სტატუსი მივიღეთ, ჩვენ ევროპული პერსპექტივა, ჩვენ ევროპული გზა, ჩვენ ევროპული ინტეგრაციის გზა, ჩვენ ევროპული ოჯახი, ეს ეს ... ეს ... ეს ...

რატომ ვერ ვითარდება ზეთის წარმოება კახეთში?

მზესუმზირის ზეთი სამომხმარებლო კალათაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და მოთხოვნადი პროდუქტია. საქსტატმა გაასაჯაროვა 2022 წლის ივნისამდე ინფლაციის მონაცემები, (13,3%) სადაც სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების წილი 6,88% და ზეთი და ცხიმები მაისში კიდევ 17,7%-ით გაძვირდა.

რატომ ძვირდება მზესუმზირის ზეთი და რატომ ვერ განვითარდა ზეთის ადგილობრივი წარმოება დედოფლისწყაროში? ადგილობრივი ბაზარი ზეთის იმპორტზე თითქმის სრულადაა დამოკიდებული. „საქსტატიდან“ გამოთხოვილი მონაცემები აჩვენებს, რომ ქვეყანაში მზესუმზირის ზეთის ძირითადი იმპორტიორი რუსეთია.

მზესუმზირის ზეთის იმპორტი 2022 წლის იანვარ-აპრილი

რუსეთი - $3,460.5 ათასი - 2,055.6 ტონა;
აზერბაიჯანი - $1,976.9 ათასი - 1,040.3 ტონა;
უკრაინა - $ 416.1 ათასი - 239.3 ტონა;
იტალია - $ 16.0 ათასი, 5.2 ტონა;
სომხეთი - $ 5.9 ათასი - 3.2 ტონა;
გერმანია - $ 4.8 ათასი - 1.8 ტონა;
ბელგია - $ 0.3 ათასი - 0.1 ტონა;
თურქეთი - $ 0.1 ათასი - 0.1 ტონა;

ამასთან, საქსტატის მონაცემები აჩვენებს, რომ მზესუმზირის ზეთის იმპორტისთვის ქვეყნიდან ყოველწლიურად სოლიდური თანხა გადის. 2019 წელს საქართველოში $38,284.6 ათასის ღირებულების მზესუმზირის ზეთი იმპორტირდა, 2020 წელს ამ პროდუქტის იმპორტისთვის ქვეყნიდან $45,650.7 ათასი გავიდა, 2021 წელს - $47,280.0 ათასი, 2022- 4 თვეში $ 5,881.6 ათასი.

რაც შეეხება ადგილობრივ წარმოებას, კომპანია „ქარვა“ რომელიც ქარხანას დედოფლისწყაროში ფლობს, ბაზარზე 2005 წლიდან ოპერირებდა და შეიძლება ითქვას, ბაზრის ერთ-ერთი მსხვილი მოთამაშე იყო, გაჩერებულია. როგორც კომპანიაში გვითხრეს ადგილობრივი მზესუმზირის ზეთის წარმოება ჯერ კიდევ პანდემიამდე ფინანსური პრობლემების გამო შეწყვიტეს. წარმოებას ნაწილობრივ უკრაინიდან მზესუმზირას იმპორტით აბალანსებდნენ. „ახლა კი უკრაინაში ომია და შესაბამისად ნედლეულის ეს ბაზარიც ჩაიკეტა“, - აცხადებენ კომპანიაში.

ამ დროისთვის, ბაზარზე ადგილობრივი ნედლეულით მხოლოდ მცირე, ოჯახური ზეთის სახდელები მუშაობენ. ისიც, მხოლოდ სეზონურად. ბიომეურნეობა „სამყურას“ დამფუძნებელი ნიკა ბაგალიშვილი, რომელიც სიღნაღის რაიონში, წნორში მზესუმზირისგან ბიოზეთს აწარმოებს, ამბობს, რომ საწარმოო სიმძლავრის ზრდას მზესუმზირის წარმოების დაბალი მაჩვენებელი აფერხებს. „მზესუმზირას სჭირდება წყალი და ძირითადად ამინდზე ხარ დამოკიდებული. ამიტომ წარმოება მცირეა. მცენარე ძირითადად იმ ტერიტორიებზე ითესება, სადაც ურწყავი მიწებია“, - ამბობს ბაგალიშვილი.

ფერმერი ამბობს, რომ ადგილობრივ ბაზარზე იმპორტირებულთან შედარებით მაღალი ფასის მიუხედავად, ადგილობრივ ბაზარზე, მზესუმზირის ზეთის რეალიზაციის პრობლემა არ დგას. „ერთ ჰექტარზე სამ ტონამდე მზესუმზირის მოსავალი მივიღე. წარმოებამ 300-400 ლიტრი შეადგინა. პროდუქტი ადგილობრივ მომხმარებელზეა გათვლილი. ლიტრის ფასი 15 ლარია. მცირე 350 გრამიანი დაფასოებით ვყიდი, რომლის ფასიც 6 ლარია“- ამბობს ბიომეურნეობა „სამყურას“ დამფუძნებელი.

მზესუმზირის ნათესი ფართობები საქართველოში:

2016 წელი - 3.7 ათასი ჰექტარი - მოსავალი 3.2 ათასი ტონა;
2017 წელი - 4.6 ათასი ჰექტარი - მოსავალი 2,2 ათასი ტონა;
2018 წელი - 2,9 ათასი ჰექტარი - მოსავალი 3 ათასი ტონა;
2019წელი - 2,6 ათასი ჰექტარი - 2,6 ათასი ტონა;
2020 წელი - 2,5 ათასი ჰექტარი - 1,9 ათასი ტონა;
2021 წელი - 3.0 ათასი ჰექტარი - 2,1 ათასი ტონა;

სტატისტიკა აჩვენებს, რომ მზესუმზირის ნათესი ფართობები საქართველოში საკმაოდ მცირეა.

რატომ ვერ ვითარდება ქვეყანაში მზესუმზირის ადგილობრივი წარმოება? არსებობს თუ არა შანსი, რომ მზესუმზირის ზეთის იმპორტი ადგილობრივი წარმოების ხარჯზე მომავალში მაინც მცირედით შემცირდეს? რა პერსპექტივაა ამ მხრივ კახეთში – ამ კითხვებით „შირაქი“ სამინისტროს დაუკავშირდა.

სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე გელა ხანიშვილი ამბობს, რომ მზესუმზირა საქართველოს სოფლის მეურნეობისთვის არასოდეს ყოფილა ძირითადი კულტურა. მისი განვითარება და მასშტაბები არასოდეს ყოფილა შთამბეჭდავი და ვითარება არც მომავალში შეიცვლება.

„მზესუმზირა, საქართველოში ხორბლისა და ქერის წარმოებაში იყო ჩანაცვლებადი კულტურა, იმისთვის, რომ მიწას დაესვენა და მონაცვლეობის თემა დალაგებულიყო, ამიტომ მისი მასშტაბი არასდროს არ ყოფილა მნიშვნელოვანი. ძირითადად, როდესაც ჩვენ ვფიქრობთ ზოგადად მარცვლეულის წარმოების განვითარებაზე, უფრო მეტი აქცენტი კეთდება ხორბალზე, როგორც სასურსათო უზრუნველყოფის სეგმენტზე, ქერზე და სიმინდზე, როგორც მეცხოველეობა-მეფრინველეობის სეგმენტის განვითარებისთვის საჭირო მარცვლეულზე.

რა თქმა უნდა კარგია, რომ მზესუმზირის ნათესი ფართობები გავზარდოთ, მაგრამ ამ შემთხვევაში, მზესუმზირას განსხვავებით ხორბლისა და ქერისგან სჭირდება მორწყვა და სასურველია დაითესოს მიწის ისეთ ნაკვეთებზე, რომელიც ირწყვება. სადაც დღეს მზესუმზირა იწარმოება, (პატარა შირაქი, კასრისწყალი და ა.შ.) ყველგან ურწყავი ფართობებია, ამიტომ მისი მასშტაბების გაზრდაზე დღეს ძალისხმევის მიმართვა არაეფექტური და არასწორი იქნება. მაშინ ეს მიწები პირველ რიგში უნდა გასარწყავიანდეს.

დღეს, რომ ჩვენ მზესუმზირის წამახალისებელი პროგრამა გვქონდეს, დავხარჯავდით ფულს, მაგრამ ის ადგილები ვერ ირწყვება და შესაბამისად შედეგი არ იქნება. ვნერგავთ მიწის ნულოვანი დამუშავების ტექნოლოგიას, რაც მზესუმზირის მოსავლიანობას გაზრდის, თუმცა საქართველოში ვერასოდეს მოვიყვანთ იმდენ მზესუმზირას, რომ ზეთზე მოსახლობის მოთხოვნა დაკმაყოფილდეს.

ადგილობრივი მცირე ზეთის სახდელები კახეთშია და იმ მასშტაბის ადეკვატურია, რა მასშტაბის მზესუმზირაც იწარმოება. დედოფლისწყაროში ძალიან ბევრი ზეთსახდელია, რომელიც ამარაგებს ქვეყანას კახეთში წარმოებული რაფინირებული ზეთით. ეს პროდუქტი ადგილობრივ ბაზარზე წარმატებულად იყიდება“– აცხადებს გელა ხანიშვილი.

„სადილი” ათამდე მზა კერძის წარმოებას იწყებს

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ გამარჯვებაში მოქმედ კომპანიაში „ჯეო ნატურალსი“ წარმოებული „სადილი“ შემოდგომიდან მომხმარებლებს 10-მდე დასახელების ახალ პროდუქტს შესთავაზებს.

კომპანიის გაყიდვების დირექტორმა გიორგი ყაჭიურმა განაცხადა, რომ კომპანია ამ ეტაპზე მუშაობს ახალი პროდუქტების დიზაინზე და ოქტომბრიდან მომხმარებელს ექნება შესაძლებლობა შეიძინონ ისინი საქართველოს მასშტაბით ქსელურ სუპერმარკეტებში. „სადილი“ მომხმარებელს მზა სადილების ფართო ასორტიმენტს სთავაზობს. პროდუქცია გათვლილია როგორც ყოველდღიურ მოხმარებაზე, ასევე აქტიურად გამოიყენება ლაშქრობა — პიკნიკისთვის.

„ჩვენი ერთ-ერთი მიმართულება ლაშქრობა და პიკნიკებია, მაგრამ ძირითადი ხაზი ყოველდღიური მოხმარებაა, საკმაოდ ფართო ასორტიმენტი გვაქვს, არის მზა სადილებიც, რომელიც მხოლოდ გაცხელებას საჭიროებს, ასევე გვაქვს ხორც პროდუქტებიც. მოშუშული ხორცის სახით, რომელსაც სადილების მოსამზადებლად იყენებენ. ძირითადად გაყიდვები ამ პროდუქტზე მოდის, რაც ეხება იგივე მზა სადილებს, ტოლმა, ხარჩო და ა.შ. ამ მიმართულებით ახალ დიზაინებზე ვმუშაობთ, მთლიანად ვცვლით ვიზუალებს, ეტიკეტირებას, შეფუთვას და სექტემბრიდან ვაპირებთ, რომ ბაზარზე აქტიურად გამოვიდეთ. ჯამში დაახლოებით 18 დასახელების პროდუქტი გვექნება, რომელსაც მთელი საქართველოს მასშტაბით გავუშვებთ რეალიზაციაში. რაც შეეხება ახალ პროდუქტებს ესენია:

საცივი, ლობიო, ტოლმა ვაზის ფოთოლში, ოსტრი, ქათმის ჩახოხბილი, ხარჩო მეგრულად, ფლავი კახურად, კუპატი. ჩვენ აქამდეც ვაწარმოებდით ტოლმას ვაზის ფოთოლში და ხარჩოს, თუმცა ბაზარს ძალიან მწირი რაოდენობით მიეწოდებოდა, სექტემბრიდან კი მზა სადილები უფრო ფართო მომხმარებლისთვის იქნება ხელმისაწვდომი. ასორტიმენტში ჯამში 18 დასახელების სადილი გვექნება“– აღნიშნა გიორგი ყაჭიურმა.

რაც შეეხება ნედლეულს, გიორგი ყაჭიური აცხადებს, რომ კომპანია ნედლეულის ნაწილს ადგილობრივ ბაზარზე იბარებს, ნაწილი კი ბრაზილიიდან შემოაქვს, კომპანიამ ასორტიმენტს ასევე თევზის კონსერვიც დაამატა, რომელიც ბალტიის ქვეყნებიდან შემოდის. რაც შეეხება ექსპორტს გიორგი ყაჭიური ამბობს, რომ მიმდინარე წელს აქტიურად მუშაობდნენ პროდუქციის უკრაინაში ექსპორტზე, ასევე „სადილის“ პროდუქტები გავიდა კანადაში და თანამშრომლობას იწყებს აზერბაიჯანთან.

საწარმო დედოფლისწყაროში 2018 წელს გაიხსნა.

არტიშოკის წარმოება ოზაანში და სატაცურის გაზრდილი ექსპორტი

უპრეცედენტო წარმოება ქიზიყში – დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ოზაანში მდებარე კოოპერატივი „რკ ოზაანი“ არტიშოკისა და იტალიური ჯიშის სალათის ფოთლის ჩიკორის წარმოებას გეგმავს. საწარმო „რკ ოზაანის“ დამფუძნებელი ჯაბა გოგოლაშვილი ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნავს, რომ არტიშოკის მოყვანას ნახევარ ჰექტარზე დაიწყებენ და იმ შემთხვევაში, თუ პროდუქტი მომხმარებელმა კარგად მიიღო, გაფართოებასაც განიხილავენ.

„გვინდა არტიშოკის წარმოება დავიწყოთ, ერთხელ 1000 კვადრატზე ვცადეთ, კარგი შედეგიც მივიღეთ, დაახლოებით 300-400 კილოგრამი, თუმცა არა სარეალიზაციოდ. არტიშოკს ნახევარ ჰექტარზე მოვიყვანთ, დავაკვირდებით მომხარებელს და მოთხოვნის შესაბამისად გავფართოვდებით.

ეს პროდუქტი საქართველოში ბევრმა არ იცის რა არის, დიდ ფართობს საწყისად სწორედ ამიტომ არ ვეჭიდებით. ევროპაში ძალიან პოპულარულია და ბევრი მომხმარებელიც ჰყავს. გარდა არტიშოკისა, გეგმაში იტალიური სალათის ფოთლის ჩიკორის წარმოებაც გვაქვს“, - ამბობს ის.

ცნობისთვის: „რკ ოზაანი“ ამ ეტაპისთვის სოფელ ოზაანში 6 ჰექტარზე სატაცურის მოყვანით არის დაკავებული. თუმცა, უკვე დაანონსდა, რომ სატაცურის მწარმოებელი კოოპერატივი „რკ ოზაანი“ გაფართოებას გეგმავს. წარმოება ამ დროისთვის 6 ჰექტარს და 5 ტონა მოსავალს აერთიანებს, უახლოეს პერიოდში კი პლანტაციის 10 ჰექტრამდე გაზრდა განიხილება.

როგორც „რკ ოზაანის“ ხელმძღვანელი ჯაბა გოგოლაშვილი ამბობს, წარმოების გაზრდის შემდგომ უკვე ექსპორტსაც განახორციელებენ.

„რკ ოზაანის“ ხელმძღვანელი მიმდინარე წლის სატაცურის მოსავალსაც აფასებს და როგორც თავად ამბობს, საწვავის, მუშახელის, მცენარის დაცვის საშუალებების



გაძვირების მიუხედავად, სატაცურის ფასი შარშანდელის მსგავსი იყო და არ გაზრდილა. ყველაფრის გაძვირების ფონზე ისინი ფასის შენარჩუნებას ცდილობენ.

„ახალ სეზონზე გაორმაგებული მოსავალი გვექნება, რადგან ახალგაზრდა პლანტაციაა და ჯერ სრულ მოსავალს არ გვაძლევს. გარდა ამისა, გვინდა ბაღის ფართობი 10 ჰექტრამდე გავზარდოთ, რათა შემდგომ ექსპორტიც განვახორციელოთ. ამ ეტაპზე უცხოეთის ბაზარზე არ ვართ, რადგან მოცულობა ადგილობრივ ბაზართან ერთად საერთაშორისო ბაზრის დაკმაყოფილების საშუალებას არ გვაძლევს. გვინდა გლობალ გაპ-ის სერტიფიკატი ავიღოთ, რაც ევროპაში ექსპორტის განხორციელების საშუალებას მოგვცემს. სერტიფიკატის გარეშე კი ექსპორტს აზერბაიჯანში, უკრაინაში, დსთ-ის ქვეყნებსა და რუსეთში განვიხილავთ.

რაც შეეხება სეზონს, იმის მიუხედავად, რომ ყველაფერი გაგვიძვირდა, სატაცურის ფასი იგივე იყო, რაც გასულ წელს. საბითუმო ფასი 10-15 ლარის ფარგლებში მერყეობდა. იმის გათვალისწინებით, რომ საწვავის, და მუშახელის გაძვირებამ ხარჯი გაგვიზარდა, სატაცურის გასაყიდი ფასებით უკმაყოფილოები ვიყავით“, - ამბობს ის.

გვერდი მოამზადა
ილია მარტყოფლიშვილმა

რამდენი მართვის მოწმობა გაიცა გამოცდის რეალურ მოძრაობაში ჩატარების ვალდებულების ამოქმედებიდან

შინაგან საქმეთა სამინისტრო ქვეყნის მასშტაბით მართვის მოწმობების სტატისტიკურ მონაცემებს აქვეყნებს.

კერძოდ, უწყების ცნობით, მას შემდეგ რაც საქართველოში მართვის მოწმობის პრაქტიკული გამოცდის რეალურ მოძრაობაში ჩატარების ვალდებულება ამოქმედდა, 3 თვეში 3 529 მართვის მოწმობაა გაცემული. კერძოდ, მაისში - 2 188; ივნისში - 556; ხოლო ივლისში - 785.

შეგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 25 აპრილიდან მართვის მოწმობის აღების მსურველებს პრაქტიკული გამოცდის როგორც საგამოცდო, ასევე რეალური საგზაო მოძრაობის პირობებში ჩაბარება უწევთ.

რაც შეეხება ამ წესის ამოქმედებამდე არსებულ მონაცემებს, სტატისტიკა ასე გამოიყურება:

- იანვარი - 3 340;
- თებერვალი - 5 216;
- მარტი - 5 722;
- აპრილი - 5 357.

ამასთან აღსანიშნავია, რომ საქართველოში, მეორე კვარტალში, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის მილიონზე მეტი - 1 064 047 შემთხვევა დაფიქსირდა. აქედან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ყველაზე დიდი რაოდენობა - 586 534 შემთხვევა თბილისზე მოდის.

თბილისის შემდეგ საგზაო მოძრაობის წესებს ყველაზე ხშირად ქვემო ქართლში არღვევენ, სადაც 94 135 შემთხვევა გამოიკვეთა, შემდეგ ადგილზე კი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაა, სადაც სამართალდარღვევის 85 308 შემთხვევა დაფიქსირდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებზე დაყრდნობით, ავტომობილების მძღოლები მიმდინარე წლის მეორე კვარტალში ყველაზე ხშირად სიჩქარის გადაჭარბებისთვის დაჯარიმდნენ. დაჯარიმებულთა საერთო რაოდენობამ 240 983 შეადგინა, აქედან ყველაზე მეტი -108 148 შემთხვევა თბილისში მოხდა.

171990 ჯარიმა დაიწერა ამკრძალავი ნიშნების „გაჩერება აკრძალულია“ და „დგომა აკრძალულია“ მოთხოვნების დაუცველობის, აგრეთვე დგომა-გაჩერების წესებით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნის დაუცველობისთვის.

ქვეყნის მასშტაბით საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის სამეულშია სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ საგზაო ნიშნის ან საგზაო მონიშვნის, „ბუქსირის“, გარე სანათი ხელსაწყოთი, ხმოვანი სიგნალით ან საავარიო შუქსიგნალიზაციით სარგებლობის, სასწავლო სვლის, საცხოვრებელ ზონაში ან საგზაო მოძრაობის წესების, სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის პრიორიტეტის ან/და საჭაპანო ტრანსპორტის მართვის წესების დარღვევა, ან მოტოციკლით ან სხვა სატრანსპორტო საშუალებით ჯგუფურ მოძრაობაში მონაწილეობა, რაც აფერხებს საგზაო მოძრაობას ან საშიშროებას უქმნის მოძრაობის უსაფრთხოებას - 144269 შემთხვევა, აქედან 116 771 თბილისზე მოდის.

52 660 მძღოლი დაჯარიმდა მარეგულირებლის ან შუქნიშნის ამკრძალავ ნიშანზე გავლის წესების, პრიორიტეტული ან ამკრძალავი ნიშნის მოთხოვნის დაუცველობის, გასწრების, გზაჯვარედინის, რკინიგზაზე გადასასვლელის გავლის წესების დარღვევის, გავლის უპირატესობის მქონე სატრანსპორტო საშუალებისათვის დაბრკოლების შექმნისთვის.

ქვეყნის მასშტაბით ჯერ ისევ მაღალია საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის შემთხვევები მობილურ ტელეფონზე საუბრისა და ღვედის გამოუყენებლობის გამო. ავტოსატრანსპორტო საშუალებით მოძრაობისას მძღოლის ან მის გვერდით მჯდომი მგზავრის მიერ უსაფრთხოების ღვედის გამოუყენებლობისთვის საქართველოში 62734 ჯარიმა დაიწერა, ტელეფონით სარგებლობისთვის კი 31929 მძღოლი დაჯარიმდა.

ინფორმაციისთვის, მეორე კვარტალი, რომელსაც აღნიშნული მონაცემები ასახავს, 15 მაისიდან 15 აგვისტომდე პერიოდს მოიცავს.

„სექტემბერში საქართველოში საწვავის ფასის შემცირებაა მოსალოდნელი“

კონკურენციის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელის, ირაკლი ლექვინაძის განცხადებით, სექტემბერში საქართველოში საწვავის ფასის შემცირება არის მოსალოდნელი, პროგნოზი კი საერთაშორისო ბაზარზე საწვავის ფასების შემცირებას და ლარის კურსის გამყარებას უკავშირდება.

მისი თქმით, საწვავის ფასის შემცირება აგვისტოში დაიწყო და ეს ტენდენცია სექტემბერშიც ნარჩუნდება. კერძოდ, როგორც ირაკლი ლექვინაძე აღნიშნავს, აგვისტოში საწვავზე ფასი დაახლოებით, 30-40 თეთრით შემცირდა, სექტემბრის თვეში კი გარკვეულმა კომპანიებმა საწვავის საფასური 5 თეთრის ფარგლებში შეამცირეს.

„აგვისტოს თვე ფასების კლების ტენდენციით გამოირჩევა. ყველა ტიპის საწვავზე, აგვისტოში დაახლოებით, 30-დან 40 თეთრამდე კლება მოხდა. ეს ეხება პრემიუმს, რეგულარს, დიზელის საწვავს. სექტემბრის თვეში დღევანდელი მონაცემებით, რამდენიმე კომპანიას ფასები შემცირებული აქვს დაახლოებით, 5-თეთრიან შუალედში, თუმცა ჩვენი მოლოდინი სექტემბერში არის, რომ ფასები კიდევ უნდა დაკორექტირდეს შემცირების მიმართულებით,“ - აღნიშნა ირაკლი ლექვინაძემ.

მისივე განცხადებით, საქართველოში საწვავის დიდი ნაწილის იმპორტი რუსეთიდან ხორციელდება.

„1-ელი სექტემბრის მონაცემებით, დაახლოებით, 40% რუსეთიდან შემოვიდა. დაახლოებით, 30% რუმინეთიდან, შემდეგ მოდის ბულგარეთი, აზერბაიჯანი და ძალიან მცირე წილია თურქმენეთის. რუსეთიდან იმპორტი იმიტომ არის გაზრდილი, რომ მიმდინარე მოვლენების ფონზე, იაფი საწვავის წყაროა. რუსული საწვავის თვითღირებულება ევროპულთან შედარებით, დაახლოებით, 30-40 თეთრთ იაფია,“ - აღნიშნა ლექვინაძემ.

მისი თქმით, კონკურენციის ეროვნული სააგენტო საწვავის ფასის მოკვლევასთან დაკავშირებით შედეგებს სავარაუდოდ, წლის ბოლოს დადებს. სააგენტომ უნდა გასცეს კითხვებზე პასუხი, საერთაშორისო ბაზარზე საწვავის ფასის კლება, ვალუტის კურსის გამყარება და საწვავის იმპორტის გაიაფება რატომ არ აისახა ადგილობრივ ბაზარზე აგვისტომდე.

„ორი საინტერესო პერიოდია, რაც ასევე კომპანიების მიმართ ჩვენი შეკითხვის მთავარი ამბავია. პირველი - აპრილის პერიოდში, როდესაც მსოფლიო ბაზარზე ფასები იკლებდა, ვალუტის კურსი მყარდებოდა, საქართველოში გაიაფებული საწვავის შემოდინება ფიქსირდებოდა, როგორც ევროპიდან, ასევე არაევროპული ქვეყნებიდან გაიაფებული იმპორტის ასახვა საცალო ბაზარზე შესაბამისად არ მოხდა, განსაკუთრებით აპრილის პერიოდში მაშინ, როდესაც ძალიან ბევრ ევროპულ ქვეყანაში ამ პერიოდში ფასები შემცირდა. მეორე საკითხი ეს იყო ივნისი-ივლისის პერიოდი, როდესაც ივლისშიც ასევე ფიქსირდება ფასების კლება, ფიქსირდება საქართველოში გაიაფებული საწვავის შემოდინება, კურსი მნიშვნელოვანი გამყარების ტრენდს აჩვენებს, თუმცა მთელი ივლისის პერიოდში საცალო ბაზარზე ფასების ცვლილება არ მომხდარა. აქ უკვე ჩვენ გადავედით მოკვლევის ეტაპზე, დაახლოებით აგვისტოს მეორე ნახევრიდან,“ - განაცხადა ირაკლი ლექვინაძემ „მედიაცენტრ მთავარში“ გამართულ პრესკონფერენციაზე.

გვერდი მოამზადა
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

სუსსათის უვნებლობის ქვაკუთხედი - ანუ ჰოგოჰ ავიჩიდოთ თავიდან საკვებით გამოწვეული პრობლემები?

ზაფხული ილევა. სულ რამდენიმე მზიანი დღეც და მოგონებები უსაშველოდ ცხელ, გაუსაძლის ზაფხულზე წარსულს ჩაბარდება. ერთ-ერთი რის გამოც ზაფხული უმეტესობა ჩვენგანს განსაკუთრებით უყვარს, ეს ხილი, ცოცხალი პროდუქტი და ხშირად სახლს გარეთ მირთმეული საკვებია, რომელიც ასევე ხშირად პრობლემებს გვიქმნის, რაც უარეს შემთხვევაში, ფატალური შედეგითაც კი სრულდება.

სულ ახლახანს, საკვებთან დაკავშირებული პრობლემის წინაშე თავადაც აღმოვჩნდი. ბოლომდე ვერ ვიტყვი, ჯანმრთელობის პრობლემა საკვებმა პროდუქტმა გამოიწვია თუ არასწორად შერჩეულმა კვების დაწესებულებამ, მაგრამ შედეგი მაინც ერთი დადგა: ჯანმრთელობის პრობლემა, რომელმაც ჩემს გარდა კიდევ არაერთი ადამიანი დააყენა საფრთხის წინაშე. სტატიის შინაარსიც, სწორედ ჩემმა შემთხვევამ გადამაწყვეტინა. ამ პრობლემის მოგვარებისთვის საჭირო გზების ძიებისას, ყველა გზა მაინც ერთ საბოლოო წერტილამდე მიგიყვანთ - პროდუქტის შენახვის წესები, რომელმაც მაქსიმალურად უნდა აგვარიდოს თავიდან მსგავსი პრობლემები.

როგორია მსოფლიო სტატისტიკა?

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემების მიხედვით, მსოფლიოში, ყოველწლიურად, დაახლოებით 600 მილიონი ადამიანი - თითქმის 1/10 - ავადდება დაბინძურებული საკვების მიღებით, რასაც 420 000 ადამიანის გარდაცვალება და 33 მილიონი ადამიანისთვის ჯანმრთელობის გაუარესება მოსდევს. შესაბამისად, სურსათის უვნებლობის წესების დაცვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

რა უნდა გავაკეთოთ სურსათის უვნებლობისთვის ?

აღიარებენ რა სურსათის უვნებლობის მნიშვნელობას და მის გავლენას ადამიანთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO) და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO) 7 ივნისს სურსათის მსოფლიო დღეს აღნიშნავენ. სწორედ ამ დღესთან დაკავშირებით, გთავაზობთ რჩევებს, თუ როგორ დაიცვათ სურსათის უვნებლობის სტანდარტები ზაფხულის ცხელ დღეებში.

სურსათის უვნებლობის ჯაჭვი იწყება ფერმაში (მეცხოველეობისას თუ ბოსტნეულის მოყვანისა და საირიგაციო წყლის უსაფრთხოების კონტროლით) და სრულდება სუფრასთან (პროდუქტების დახარისხება და უსაფრთხო მომზადება). სასურსათო კონტროლს ექვემდებარება ყველა პროდუქტი: ბოსტნეული, ხილი, ხორცი თუ რძის ნაწარმი. ასევე, ამ ნედლეულის გადამუშავებით მიღებული სურსათი. სურსათის უვნებლობის ქვაკუთხედი ჰიგიენური სტანდარტების დაცვა, ცხოველთა ჯანმრთელობის მონიტორინგი და სარეალიზაციო პირობების მონიტორინგია.

1. დაიცავით ჰიგიენა და ტემპერატურული რეჟიმი

სიახლე არავისთვისაა, რომ სიცხეში საკვები უფრო მალე ფუჭდება. აღნიშნულის მიზეზია ის, რომ თბილი ტემპერატურული გარემო (18-22 C) ბაქტერიების გამრავლებისთვის იდეალური მდგომარეობაა. ბაქტერიების გამრავლება კიდევ უფრო სწრაფად მიმდინარეობს ნაწილობრივ და სრულად დახურულ შეფუთვებში (მაგ. მაწვნის, რძის, ძეხვის შეფუთვა). შესაბამისად, სურსათის დაბინძურებისა და გაფუჭების მაღალი რისკია საზაფხულო კემპინგისა და პიკნიკების დროს. ბუნება, სადაც ბაქტერიების საკვებში მოხვედრის რისკი უფრო მაღალია, ხოლო საკვების უსაფრთხოდ შენახვისთვის საჭირო ტემპერატურა თითქმის ვერასოდეს კონტროლდება, იდეალური ადგილია სურსათით გამოწვეული დაავადებების გასავრცელებლად. კემპინგზე, ექსკურსიებსა და პიკნიკებზე დაიცავით ჰიგიენის წესები: საკვებთან შეხებამდე კარგად დაიბანეთ ხელები. შეძლებისდაგვარად შეეცადეთ საკვებისთვის იქონიოთ საპიკნიკე მაცივრები. ასეთის არარსებობის შემთხვევაში, საკვებად შეარჩიეთ შეფუთული (დარწმუნდით რომ შეფუთვა დაზიანებული არ არის), არამალფუჭებადი საკვები; ეცადეთ, მოამზადოთ ისეთი საკვები, რომელიც ცეცხლზე ან მაღალ ტემპერატურაზე მზადდება. მაგალითად, მწვადის მომზადებისას დარწმუნდით, რომ ხორცი კარგად შემწვარია (სისხლი არ ახლავს); ასევე, ყურადღება მიაქციეთ წყალს, ღიად არ დატოვოთ წყლის კონტეინერები.

2. დროულად დააფასოვეთ საკვების ნარჩენები

ბუნებაში თუ სახლში, სუფრას გადარჩენილი საკვები დროულად უნდა იქნეს შენახული. მაცივარში შენახვის შემთხვევაში, საკვები ინარჩუნებს გემოვნურ თვისებებს და, ამასთანავე, ხელი ეშლება ბაქტერიების გამრავლებას. შესაბამისად, მაცივარში შენახული საკვების ხელახალი გამოყენება უსაფრთხოა. მოხმარებიდან მალევე (არაუმეტეს 2 საათი) შეინახეთ საჭმლის ნარჩენები. თუ მაცივარი არ გაქვთ, შეეცადეთ თავიდან აირიდოთ მორჩენილი საკვების ხელახალი გამოყენება. მოერიდეთ საკვების დაგემოვნებას გემოს შემოწმების მიზნით. გახსოვდეთ, რომ საკვები შეიძლება ბუნებრივად გამოიყურებოდეს თუმცა, დაბინძურებული იყოს ბაქტერიებით.

3. ერთმანეთისგან განაცალკევეთ მომზადებული და უმი პროდუქტები

აღნიშნული წესი ერთნაირად მნიშვნელოვანია წლის ნებისმიერ დროს. დაუშვებელია, ერთმანეთს ეხებოდეს მომზადებული და უმი პროდუქტები. მსგავსი პროდუქტების ერთმანეთთან შეხების დროს, შესაძლოა, მოხდეს ე.წ ჯვარედინი (როცა ბაქტერიები, პარაზიტები ან სხვა დამაბინძურებლები ერთი პროდუქტიდან მეორეზე გადადიან) დაბინძურება. ეს წესი ვრცელდება სხვადასხვა სახის ხორცზეც. მაცივარში, მომზადების ადგილზე თუ დახლზე, საქონლის, ცხვრის თუ ფრინველის ხორცი ერთმანეთისგან განცალკევებით უნდა იდოს.

4. ხორცის გალღობა

წლის ნებისმიერ პერიოდში, ადამიანები ხშირად მიმართავენ ხორცის გალღობის მეთოდებს, რომელიც ხორცის თბილ ადგილზე დაყოვნებას ან ცხელ წყალში ჩადებას გულისხმობს. ორივე მეთოდის შემთხვევაში, ძალზე მაღალია ბაქტერიებით დაბინძურების ალბათობა. ხორცი, საყინულიდან გამოტანის შემდეგ, მაცივარში უნდა გალღვეს. მაცივრის ტემპერატურა 3-5 გრადუსამდე მერყეობს, რაც ხელს უწყობს, როგორც ხორცის სტრუქტურის, ასევე, საგემოვნო და სასარგებლო თვისებების შენარჩუნებას, ანალოგიურად, მაცივარში ნაკლებია ბაქტერიების გავრცელების რისკი. ეს წესი ზედმიწევნით უნდა იყოს დაცული, გატარებული ანუ ე.წ ფარშირებული ხორცის შემთხვევაში, სადაც ბაქტერიების გამრავლების ალბათობა კიდევ უფრო მაღალია. მაცივრის გარდა, პროდუქტი ასევე შეიძლება გალღვეს წვეთ-წვეთად გამდინარე ცივ წყალში და მიკროტალღურ ღუმელში. გალღობილი პროდუქტი, ბაქტერიების განადგურების მიზნით, აუცილებლად თერმულად უნდა დამუშავდეს - კარგად მოიხარშოს/შეიწვას მაღალ ტემპერატურაზე (70 გრადუსი - 20 წთ).

5. დაამუშავეთ ზედაპირი

დაამუშავეთ ყველა ის ზედაპირი, რომელსაც პროდუქტი ეხებოდა. იქნება ეს მაგიდა, დაფა თუ თეფში. დამუშავება გულისხმობს არამხოლოდ სველი ტილოს გამოყენებას, არამედ შესაბამისი სადეზინფექციო ხსნარის მოხმარებას (იქნება ეს ჭურჭლის ჟელე თუ სხვა). ასევე, ზაფხულში, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ მაგიდის საწმენდი ტილოებისა და ჭურჭლის სარეცხი ღრუბლის ჰიგიენას. სველი ნივთები, რომლებიც შესაძლოა სურსათის ნარჩენებს შეიცავდნენ, ბაქტერიებისთვის საყვარელი გარემოა; შესაბამისად, მსგავსი სამომხმარებლო ნივთები, ხშირად უნდა გაირეცხოს სადეზინფექციო საშუალებებით, ან გამოიცვალოს.

6. მოერიდეთ კონსერვირებულ პროდუქტს

ე.წ კონსერვები ერთ-ერთი მაღალი რისკის პროდუქტებს წარმოადგენენ. არასწორი მომზადებისას (არასაკმარისი თერმული დამუშავების გამო), ბაქტერიები ადგილად მრავლდებიან მსგავს პროდუქტში. ნებისმიერ სიტუაციაში, ზაფხულში თუ სხვა სეზონზე, კონსერვები თერმულად, მაღალ ტემპერატურაზე უნდა დამუშავდეს.

სურსათის უვნებლობა და COVID-19 პანდემია

მსოფლიოში, სურსათით გამოწვეული 200-ზე მეტი დაავადება არსებობს, თუმცა COVID-19 მათ შორის არ არის. COVID-19 -თან და სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებით უნდა გახსოვდეთ:

- ამ მომენტისთვის არ არსებობს მტკიცებულება, რომ COVID-19 შესაძლოა სურსათით გადადიოდეს;
- COVID-19 არ გადაგედებათ სასურსათო შეფუთვებიდან - კორონა ვირუსს არსებობისთვის ცოცხალი ორგანიზმი სჭირდება, შესაბამისად, იგი ვერ გამრავლდება ისეთ ზედაპირზე როგორიცაა რკინა, პოლიეთილენი ან პლასტმასი;
- მიუხედავად აღნიშნულისა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ჰიგიენის წესების დაცვა, სურსათის შეძენის პირობებში. სურსათის შესაბამისი სტანდარტებით დამუშავება და მოხმარების წესების დაცვა.

FAO-ს მიაჩნია, რომ პანდემიის პირობებში, იმისთვის რომ სურსათის მოპოვებას და დისტრიბუციას საფრთხე არ შეექმნას, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, სურსათის უსაფრთხოებას, ზოონოზური (ცხოველიდან ადამიანზე გადამდები) დაავადებების კონტროლს. ამ მიმართულებით, საქართველოში ბოლო წლების მანძილზე მნიშვნელოვანი ცვლილება გატარდა. დაინერგა ცხოველთა იდენტიფიკაცია - რეგისტრაციის ელექტრონული სისტემა (NAITS), რომელიც წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონლისა და მათგან წარმოებული პროდუქტების მიკვლევადობას უზრუნველყოფს. სისტემა, რომელიც ავსტრიისა და შვეიცარიის მთავრობების ფინანსური მხარდაჭერით ინერგება, ევროპასთან ყოვლისმომცველი სავაჭრო ხელშეკრულების ნაწილია და იგი, ქვეყანაში კეთილსაიმედო ეპიდემიოლოგიური გარემოს უწყობს ხელს.

კეთილსაიმედოობა საჭიროა არამარტო ზოგადად, ფურცელზე, არამედ ხელშესახებადაც. როდესაც სადმე, გარეთ გადავწყვეთ საკვების მიღებას, მუდმივად იმაზე ფიქრი არ უნდა გვაწუხებდეს, იქედან ისევ ჯანმრთელები დავბრუნდებით თუ არა. კონტროლი და აღსრულება ის მინიმალური ვალდებულებებია, რომელიც სახელმწიფომ საკუთარი მოქალაქეების ჯანმრთელობის დაცვისთვის უნდა გააკეთოს. იმედი, მაქვს ასეც იქნება... სხვა შემთხვევაში, საკვები მხოლოდ საკუთარი თვალითა და გემოთი მიიღეთ და შეაფასეთ...

მოამზადა
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

მოძრავი თეატრი დედოფლისწყაროში

11 სექტემბერს დედოფლისწყაროს მოძრავი თეატრი ეწვია. ახალგაზრდების ჯგუფმა სახელწოდებით „ჩვენი თეატრი“ ადგილობრივებს ღია ცის ქვეშ საბავშვო სპექტაკლი „პატარა უფლისწული“ წარუდგინა.

თეატრის საერთაშორისო დღე 28 მარტს აღინიშნა. სწორედ ამ დღეს გაირკვა, რომ კერძო თეატრების ხელშეწყობის პროექტს თეა წულუკიანის ინიციატივით, კულტურის სამინისტრო აფინანსებს. სწორედ მარტის თვეში ქვეყნის ათ ქალაქში სამინისტროს დაფინანსებით კერძო თეატრების გასტროლები დაინიშნა, რაზეც სამინისტროს ბიუჯეტიდან ჯამში 230 000 ლარი იხარჯება. ათ ქალაქს შორის, სადაც წლევანდელი ზაფხულის განმავლობაში სპექტაკლი გაიმართა, დედოფლისწყაროც მოხვდა.

გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, კერძო თეატრების ხელშეწყობის ფარგლებში გამოცხადებული პირველი კონკურსის შედეგები მარტის ბოლოს გამოქვეყნდა. 13 მონაწილე თეატრიდან დაფინანსება 7-მა მოიპოვა და თითოეული მათგანი ათ წარმოდგენას მართავს. პროექტის მიხედვით, დედოფლისწყაროში საგასტროლოდ კერძო თოჯინების თეატრი სახელწოდებით „ჩვენი თეატრი“ ხუთი თვის განმავლობაში ემზადებოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ თეა წულუკიანის მინისტრად დანიშვნის შემდეგ კულტურის სამინისტროს მიერ მუდმივად ცხადდება საგრანტო კონკურსები, რომლებიც შემოქმედებით ორგანიზაციებს საშუალებას აძლევს მიიღონ სახელმწიფო დაფინანსება და ღონისძიებები გამართონ რეგიონებში. განსაკუთრებით ყურადღება ეთმობა ისეთ მხარეებს, სადაც ამის დეფიციტია. დაფინანსებასაც ისეთი ჯგუფები იღებენ, რომელთაც ამისი ფინანსური სახსრები თავად არ გააჩნია. დედოფლისწყარომ მინისტრის ამ ინიციატივით 4 ღონისძიებას უკვე უმასპინძლა.

თბილისში მოქმედი „ჩვენი თეატრი“ ახალგაზრდა ნიჭიერი მსახიობებისგან დაკომპლექტებული კერძო თეატრი საკუთარ პროფესიაზე და საქმეზე უზომოდ შეყვარებული გუნდია. ისინი თოჯინების თეატრის, როგორც დარგის გადასარჩენად გაერთიანდნენ და ამ საქმეს ანაზღაურების გარეშე აკეთებენ. ხშირად სხვა საქმეზე მუშაობა და ხელფასის თოჯინების თეატრისთვის მოხმარებაც დასჭირვებიათ, თუმცა, საქმისადმი დიდი სიყვარულის გამო არც ამაზე ამბობენ უარს. მინისტრის მხრიდან გამოხატული სახელმწიფოებრივი მიდგომა სწორედ ესაა, რომ ასეთი მიზნობრივი ჯგუფები მიიღებენ სახელმწიფო დაფინანსებას და რეგიონებს შემოივლიან. მართალია ეს

ერთჯერადი დაფინანსებაა, თუმცა, მათი ხელშეწყობისა და გაძლიერებისთვის ეს ნაბიჯიც მნიშვნელოვანია.

თეატრის ხელმძღვანელი, ირაკლი ხოშტარია გაზეთ „შირაქს“ ეუბნება, რომ აღმოსავლეთ საქართველოში მხოლოდ დედოფლისწყაროს ესტუმრნენ, დანარჩენი გასტროლი ძირითადად იმერეთის მხარეში შედგა.

„მოიარე რეგიონების“ პროექტის ფარგლებში სამინისტრომ დაგვიფინანსა საზაფხულო გასტროლები, ქალაქები ჩვენ შევარჩიეთ. შემთხვევითი პრინციპით მოვნიშნეთ ლოკაციები, ასე შეირჩა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიც. აქ ნამყოფი არასოდეს ვიყავით და ამიტომ გვინდოდა ერთ-ერთი ქალაქი დედოფლისწყარო ყოფილიყო. დღეს გესტუმრეთ და პატარების გახალისებაზე ვიზრუნეთ, გვინდოდა აქაური მაცხოვრებლებისთვისაც გაგვეცნო ჩვენი თავი.

ჩვენ ჯგუფელები ვართ და 2006 წლიდან ერთად მოვდივართ. მიზანი, რატომაც თეატრი შევქმენით იყო ის, რომ დავრჩენილიყავით პროფესიაში და ის გვეკეთებინა, რაც ვისწავლეთ. 12 წლის წინ დავამთავრეთ უნივერსიტეტი და სხვაგან ამის კეთების საშუალება არ მოგვეცა, ამიტომ გავერთიანდით და ჯერ სახელოსნო გავხსენით, შემდეგ კი თეატრი დავაარსეთ. აღმოჩნდა, რომ პანდემიის დროს გაცილებით მეტი დრო გვქონდა, რომ ამ საქმისთვის გვეზრუნა და ბევრი თოჯინა დავამზადეთ. ძალიან სახასიათო გამომივიდა ნიკალას თოჯინა. გულში ჩამწვდომია თავისი თვალებით, ნაკვთებით და ა.შ. ამ პროფესიის არსებობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა, რადგან თეატრალურ უნივერსიტეტში მეთოჯინეობას უკვე აღარ ასწავლიან და დღეს ძალიან ცოტანი დავრჩით. ჰონორარზე საუბარიც არ არის, ხშირად იქით ვხარჯავთ ფულს, რომ სპექტაკლი შედგეს“ - ამბობს ირაკლი ხოშტარია.

„სასურველია ასეთი წარმოდგენები ხშირად იმართებოდეს, დედოფლისწყაროში თოჯინების თეატრის სტუმრობა საინტერესო სიახლე იყო და ბავშვებთან ერთად წამოვედით. პატარებმა ძალიან იხალისეს და გაერთნენ, უფროსებიც ყურადღებით ვუყურებდით სპექტაკლს. ამინდმაც ხელი შეგვიწყო, არც ცხელოდა, არც წვიმდა და საინტერესოდ გავატარეთ ეს დრო,“ – აღნიშნავს ადგილობრივი თამუნა ოზბეთელაშვილი.

ამას გარდა, ამგვარი კონკურსის ფარგლებში სადადგმო და საგასტროლო ხარჯებით დაფინანსდა კიდევ 11 თეატრი, რომელთაც ჯამში 250 000 ლარი მოხმარდება.

ილია მარტყოფლიშვილი

გივი სიხარულიძის შემოქმედებითი საღამო

დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაციის თაოსნობით საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში 30 აგვისტოს გაიმართა გივი სიხარულიძის შემოქმედებითი საღამო. ღონისძიების ორგანიზატორმა ნანა ჭიჭინაძემ აღნიშნა, რომ გივი სიხარულიძის საღამო 28 სექტემბერს უნდა გამართულიყო, მაგრამ ეროვნულმა ბიბლიოთეკამ შემოგვთავაზა დროზე ადრე ჩატარება, რის გამოც დედოფლისწყაროელები ვერ დაესწრნენ. მიუხედავად ამისა, ზღვა ხალხი მოვიდა ბატონი გივის შემოქმედებით საღამოზე, რომელსაც თავად გივი სიხარულიძე უძღვებოდა.

საღამოს გახსნის პატივი წილად ხვდა ბ-ნ გივის უახლოეს მეგობრებს ცნობად პოეტებს ვაჟა ეგრისელს და ვაჟა ოთარაშვილს, მათ წაიკითხეს საკუთარი ლექსები, შემდეგ თავად გივიმ წაიკითხა ორი ლექსი - თავის გარდაცვლილ მეუღლეზე, რომელიც 1998 წელს გარდაიცვალა და დედაზე.

2013 წელს გივი სიხარულიძის ავტორობით გამოიცა დედოფლისწყაროელი ლადო ათანელის ცხოვრების ამსახველი ნოველების საკმაოდ მაღალპოლიგრაფიული წიგნი, რომლის წარდგენა ამავე დარბაზში შედგა, ხოლო სატელევიზიო პრეზენტაცია ტელეკომპანია „ობიექტივის“ პირდაპირ ეთერში, ილია მარტყოფლიშვილის საავტორო თოქ-შოუში „დედოფლისწყაროს საათი“. გადაცემის სტუმრები იყვნენ თავად გივი სიხარულიძე და ლადო ათანელი მეუღლესთან, მანანა ჩიქოვანთან ერთად.

დედოფლისწყაროელების სახელით ბატონ გივის მიესალმა და საკუთარი ლექსებით დაატკბო მსმენელი დედოფლისწყაროს მწიგნობართა და მწერალთა ასოციაციის ნიჭიერმა წევრმა, უმშვენიერესმა **მარიამ ტოხიშვილმა.**

ბატონ გივის შემოქმედებაზე ისაუბრეს მისმა მეგობრებმა, თითქმის მთელი ბიოგრაფია წარმოგვიდგინეს მის განვლილ ცხოვრებაზე,

ვეცდები ჩვენი გაზეთის მკითხველს მოკლედ გავაცნო მისი შემოქმედების შტრიხები:

გივი სიხარულიძე 1961 წელს გახდა ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის სოლისტი.

1988-2006 წლებში სახელმწიფო ფოლკლორულ ანსამბლ „თბილისის“ სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი ბალეტმეისტერი იყო. იგი არის რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი. მას მინიჭებული აქვს რაიონის და ხელოვნების ქურუმის წოდება ქორეოგრაფიაში და კინომატოგრაფიაში გაწეული ღვაწლისთვის.

1972 წლიდან იწყება გივი სიხარულიძის სამსახიობო კარიერა. იგი გადაღებულია არაერთ ფილმში, მაგრამ ყველაზე დიდი აღიარება მას მოუტანა 1992 წელს რეჟისორი თემურ ბაბლუანის ფილმმა „უძინართა მზე“. ამ ფილმმა მოიპოვა საერთაშორისო პრიზი: ბერლინის კინოფესტივალზე „ვერცხლის დათვი“ მოსკოვის საერთაშორისო ფესტივალის „ნიკა“, სოჭის კინოფესტივალის „გრანპრი“, საქართველოს საერთაშორისო ფესტივალის „ოქროს არწივი“. მას ასევე შესრულებული აქვს მთავარი როლი ქართულ მრავალსერიან სატელევიზიო ფილმში „ცხელი ძაღლი“.

როგორც რეჟისორმა, გივი სიხარულიძემ საკუთარი სცენარის მიხედვით გადაიღო შემდეგი ფილმები: „ქუჩის დედოფალი“, რომელმაც გაიმარჯვა ბათუმის მესამე საერთაშორისო კინოფესტივალზე, „გათოშილი ბელურები“ (მთავარი როლის შემსრულებელმა ირინა წერეთელმა ბავშვის როლის საკუთარი შესრულებისათვის მოიპოვა სპეციალური პრიზი) „ბიასკრიპკა“ „უვაჟაემი“.

2006 წელს ჟურნალ „სარკის“ გამოკითხვით, რომელიც სრულიად საქართველოს მოიცავდა, ბატონი გივი წლის საუკეთესო ქართველ მამაკაც მსახიობად დასახელდა.

გივი სიხარულიძე არის 22 წიგნის ავტორი. წერს ნობელებს. ლექსებს და რომანებს. 2005 წელს მისი ნოველების კრებული „ის+მე“ აწყვეტილი სიცოცხლე დაჯილდოვდა ნიკო ლორთქიფანიძის პრემიით.

1980 წლიდან მისი შემოქმედება მსოფლიოს სხვადასხვა ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდება, მრავალი ნაწარმოები გადათარგმნილია ინგლისურ, რუსულ, ფრანგულ, უკრაინულ, სომხურ და აზებაიჯანულ ენებზე. აქედან რვა მოთხრობა ქართული პრიზის ანთოლოგიაშია შესული, მწერალმა ახალი ჟანრი შემოიტანა ქართულ მწერლობაში-თბილისური ნოველები. იგი ლიტერატურაში გაწეული ღვაწლისათვის დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

გაზეთ „ახალი ვერსიის“ სოციოლოგიურმა სამსახურმა ბატონ გივის მიანიჭა დედაქალაქის კოლორიტის წოდება. იგი არის ბათუმის საპატიო მოქალაქე. მას ხშირად იწვევენ სხვადასხვა პოპულარული სატელევიზიო არხები. გივი სიხარულიძის შემოქმედებით საღამოში მონაწილეობდნენ სპეციალურად მოწვეული მუსიკოსები.

დიდი პეტრე ამირანაშვილის შვილიშვილის მარინა ფარულავას მოსწავლე თამარ ოდიშერიძე ოთარ თაქთაქიშვილის სახელობის კონკურსის სპეციალური პრიზის მფლობელი და ლაურიატი, რომელმაც დონიცეტის ოპერიდან „ფავორიტი ქალი“ ლეონორას არია შეასრულა, პიანისტებმა ნანა გელაძემ, მანონი ყუბაინეიშვილმა და მაყვალა ხორბალაძემ: შოპენის, ლისტის და მოცარტის საფორტეპიანო ნაწარმოებების შესრულებით დაატკბეს მსმენელი. ექსპრომტად ბატონი გივის მეგობარმა რეზო სულავამ შეასრულა რევაზ ლაღიძის სიმღერა ქუთაისზე.

გივი სიხარულიძემ საღამოს დასასრულს კიდევ რამოდენიმე ლექსი წაიკითხა და განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაციის ღონისძიების ორგანიზატორს ნანა ჭიჭინაძეს ამ შესანიშნავი საღამოს გამართვისათვის.

მარიკა პოპიაშვილი

უბედური შემთხვევა ზემო ქედში

უბედური შემთხვევა მოხდა ზემო ქედში. 4 სექტემბერს ცენტრალურ გზაზე მოძრავი მსუბუქი ავტომანქანა ბავშვს დაეჯახა. შეჯახება იმდენად ძლიერი იყო, ქვეითად პატარა ბიჭის გადარჩენა ვერ მოხერხდა.

საქართველოს პროკურატურამ, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის ფაქტზე, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია, ერთ პირს ბრალდება წარუდგინა.

როგორც პროკურატურის პრესცენტრიდან გაზეთ „შირაქს“ აცნობეს, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 4 სექტემბერს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ქედში ბრალდებულმა, რომელიც „ოპელის“ მარკის ავტომობილს მართავდა, დაარღვია „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონი, რის შედეგადაც ქვეითად მყოფ მცირეწლოვანს შეეჯახა. მიღებული დაზიანებების შედეგად, დაზარალებული 5 წლის ბიჭი გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ბრალდებული იმავე დღეს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-6 ნაწილით წარედგინა, რაც გულისხმობს სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია. დანაშაული 4-დან 7 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. პროკურატურამ, ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობით, სიღნაღის რაიონულ სასამართლოს უკვე მიმართა. საქმეზე მოსამართლე მსჯელობს.

სოფელ ზემო ქედში გაზეთ „შირაქთან“ ამბობენ, რომ ოჯახი ლანჩუთიდან, ზემო ქედში გარდაცვლილი ბიძის სუფრაზე დასასწრებად ჩავიდა. იყო ვერსია, რომ შემთხვევა სუფრის შემდეგ მოხდა, თუმცა ოჯახის ახლობელი ანა მიდელაშვილი ამბობს, რომ გარდაცვლილის სუფრა წინა დღეს იყო.

თვითმხილველების განმარტებით, ბავშვები გზაზე გადასვლას ცდილობდნენ, ცენტრალურ მაგისტრალზე მიმავალმა მძღოლმა დროული დამუხრუჭება ვერ შეძლო და მოზარდს შეეჯახა. იყო თუ არა ოპელის მძღოლი ალკოჰოლური თრობის ქვეშ, ამას გამოძიება და შესაბამისი ექსპერტიზა დაადგენს. მძღოლმა ბავშვი ზემო ქედის სასწრაფო დახმარების შენობაში თავადვე გადაიყვანა, თუმცა ადგილობრივმა მედიკოსებმა მისი გადარჩენა ვერ შეძლეს.

„ბავშვი ჩემი ოჯახის სტუმარი იყო. საქმე იმაშია, რომ მანქანა მოდიოდა დიდი სისწრაფით, ვინც გინდა ყოფილიყო, ყველას აუცილებლად დაეჯახებოდა და მოკლავდა. საღამო იყო, ამ დროს ქუჩაში ბევრი ხალხი იყო და მათ თვალწინ მოხდა ეს ტრაგედია,“ – ამბობს ანა მიდელაშვილი.

დედოფლისწყაროს საავადმყოფოს ხელმძღვანელი ხათუნა აგლაძე ამბობს, რომ დაშავებული ბიჭის სიკვდილი სასწრაფოს ექიმებმა ადგილზე დააფიქსირეს და მისი დედოფლისწყაროში, კლინიკაში გადაყვანა აღარ მომხდარა.

მოზარდის ცხედარი ლანჩხუთის სოფელ შუხუთში გადაასვენეს. გაზეთ „შირქის“ რედაქცია სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს და ახლობლებს.

ილია მარტყოფლიშვილი

თანასოფლელის დაჭრის ფაქტი

ინციდენტი სოფელ ზემო ქედში - 60 წლამდე მამაკაცი ცივი იარაღით დაჭრეს. ადგილობრივებს შორის კონფლიქტი ურთიერთშელაპარაკებაში გადაიზარდა, რა დროსაც 56 წლის დავით კვარაცხელიამ ადგილობრივი დანით დაჭრა.

შემთხვევა ზემო ქედის კულტურის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე მოხდა. როგორც თვითმხილველებმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადეს, მამაკაცი დაშავებულისგან მანქანით წაყვანას ითხოვდა, უარის მიღების შემდეგ კი გულმკერდის არეში დანა დაარტყა.

დაშავებული გელა მაზიაშვილი საავადმყოფოში გადაიყვანეს, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმე არ არის. ცივი იარაღი ძვალმა შეაკავა, რის გამოც მას სიცოცხლესთან შეუთავსებელი ჭრილობები არ მიუღია.

„დამნაშავე ჩვენი სოფლის სიძეა, მაგრამ აქ ცხოვრობს. ბოლო დღეებში შარზე იყო, როგორც ამბობენ რამდენიმე ადამიანს ეკამათა. სულ დანით დადის. ახლაც ნასვამი ყოფილა, მაღაზიასთან დახვედრია და წაყვანა მოსთხოვა. გამყიდველს უთქვამს, არ წაიყვანო, შარზეა, რამე არ გავნოსო. მისი შვილიც ადამიანის დაჭრის გამოა პატიმრობაში, მანამდე 5 წელი ყაჩაღობაზე იჯდა,“ - აცხადებენ ზემო ქედში.

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის დედოფლისწყაროს რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1965 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი დ.კ. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ბრალდებით დააკავეს. დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ზემო ქედში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ცივი იარაღით სხეულზე ჭრილობა მიაყენა თანასოფლელს - 1962 წელს დაბადებულ თ.მ.-ს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი მამაკაცი საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც შესაბამისი მკურნალობა ჩაუტარდა.

პოლიციამ დ.კ. ცხელ კვალზე, ბრალდებულის სახით დააკავა. სამართალდამცველებმა დანაშაულის ჩადენის იარაღი - დანა ნივთმტკიცების სახით ამოიღეს. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს.

ილია მარტყოფლიშვილი

კოვიდით გარდაცვლილი თანაკლასელების ხსოვნას მიეძღვნა

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში 30 აგვისტოს კოვიდით გარდაცვლილთა თანაკლასელების გივი ბაღაშვილის და ლაურა იაკობიშვილის, ასევე სრულიად ახალგაზრდა ნათელა ალუღიშვილის, ედუარდ პოპიაშვილის, გურამ ბაღაშვილის, გურამ ფიცხელაურის, ოთარ გოჩიტაშვილის, ვასიკო შოშიაშვილის, შოთა წიკლაურის სხსოვნას მიეძღვნა საფორტეპიანო მუსიკის კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ ცნობილი პიანისტები: ნათია ქავთარაძე-თბილისის ვ.სარაჯიშვილის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი, კონცერტმეისტერი; მანონი ყუბანეიშვილი საქართველოს სახლახო არტისტი, პიანისტი და მომღერალი, მაყვალა ხორბალაძე-კომპოზიტორი, კონცერტმეისტერი. მათ შეასრულეს ქართველი და უცხოელი გამოჩენილი კომპოზიტორების: ზაქარია ფალიაშვილის, გოგი ცაბაძძის, ბიძინა კვერნაძის, რევაზ ლაღიძის, გია ყანჩელის, ვაჟა აზარაშვილის, ფრედერიკ შოპენის, ფერენც ლისტის, ჟორჟ ბიზეს, ჰექტორ ბერლიოზის, ვოლფანგ ამადეუს მოცარტის, ფრანც პეტერ შუბერტის მუსიკალური ნაწარმოებები.

ღონისძიების ორგანიზატორი და წამყვანი გახლდათ ნანა ჭიჭინაძე, სპონსორი სოსო ბაღაშვილი. დამსწრე საზოგადოებამ, რომელთა უმრავლესობა თბილისში მცხოვრები დედოფლისწყაროელები იყვნენ გულწრფელი მადლობა გადაუხადეს პიანისტებს, ღონისძიების ორგანიზატორს და ეროვნული ბიბლიოთეკის საზოგადოების ურთიერთობისა და კულტურული პროგრამების განყოფილების უფროსს ბატონ გიორგი საბანაძეს სასიამოვნო გარემოს შექმნისათვის..

მარიკა პოპიაშვილი

კროსვორდი



შვეულად: 1. რომელი ნედლეულისგან იღებენ ქაღალდს 2. პარაზიტი ჭია ადამიანის ნაწლავებში 3. პლანეტა ვენერას ძველი სახელწოდება 4. შინაგანი სეკრეციის ჯირკვალი, რომელივ მოთავსებულია თავის ტვინის ფუძესთან და გავლენას ახდენს ორგანიზმის ზრდაზე 5. დონ კიხოტის ცხენი 6. სომხეთის დედაქალაქი 7. თვალის ფერადი გარსის ანთება 14. ხილის რბილობი არის ცრუ ნაყოფი. რა არის ნამდვილი ნაყოფი 15. ფური პირველი ხბოს მოგებამდე 16. რა არ აქვს თეთრ ლექსს 17. ინგლისის პრემიერ-მინისტრი, რომელმაც ბიძგი მისცა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ „ცივი ომის“ გაჩაღებას 18. ხელოვნური ბოჭკო. ერთდროულად მიიღეს ნიუიორკში და ლონდონში, რაც აისახა სახელწოდებაზე 20. ფრინველი - ახალი ზელანდიის სიმბოლო 21. იტალიური ცეცხლსასროლი იარაღი. უწოდეს კონსტრუქტორის სახელი 24. მხატვარი ... ოქროპირიძე 27. სპარტანელების დევიზი: „ფარით, ... ფარზე“

თარაზულად: 4. გზებისა და ვაჭრობის ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში 8. ტემპერატურული სკალა 9. ვინ ჩაატარა პირველად ცოფის საწინააღმდეგო აცრები 10. თოვგინა, რომლის მამას, კარლო კოლოდის პატივსაცემად ალექსი ტოლსტომ კარლო უწოდა 11. საკანცელარიო ნივთი, რომლის სკულპტურა აღმართეს ვაშინგტონში თეთრი სახლის წინ 12. მაღალმოლეკულური ნაერთი, რომელიც მონომერებისგან შედგება 13. პატარა აეროსტატი. რომლის მეშვეობით ატმოსფეროს ზედა ფენებში მეტეოროლოგიურ მონაცემებს იწერენ 15. ხე, რომლის ქერქი სანელებლად გამოიყენება 19. რეპტილია ფრანგულ კულინარიაში 20. ფრანგული ბაღები - შადრევანი, ინგლისური ბაღი - ველური ტყე, იაპონური ბაღი - ქვები, იტალიური ბაღი - ... 22 ტერმინი, რომელიც ძველ ბერძნულ ფილოსოფიაში ნიშნავს „სულის განწმენდას“ 23. რომოსა და ჯულიეტას ქალაქი 25. ქედი რუსეთში, რომელზეც გადის წარმოსახვითი საზღვარი ევროპასა და აზიას შორის 26. მდინარე, რომელიც ლაპტევების ზღვაში ჩაედინება 27. მარჯნის კუნძული 28. ზამბახი 29. მამული, ..., სარწმუნოება

გამოსათხოვარი

გივი ბიკაშვილი



დაგვტოვა და წავიდა ზეციურ სასუფეველში, თან გაიყოლა ყველა იმ ადამიანის სიყვარული, ვინც მას იცნობდა. გივი ბიკაშვილი დაიბადა 1933 წლის 14 იანვარს. სიცოცხლის ბოლომდე მხნედ, თავდაუზოგავად, დაუღალავად და რწმენით გვერდში ედგა ახლობლებსა და მეგობრებს.

ახალგაზრდა აგრონომმა მუშაობა კოლმეურნეობაში დაიწყო ბრიგადირად და სამი ათეული წელი ზემო მაჩხაანის ლენინის ორდენოსანი კოლმეურნეობა არ დაუტოვებია. დაწინაურდა კოლმეურნეობის თავჯდომრის მოადგილედ, შემდეგ კი თავჯდომარედ. მისი მოღვაწეობა მხოლოდ ამ სფეროში არ შემოიფარგლება. იყო N72 პროფესიული ტექნიკური სასწავლებლის დირექტორი, რაიონის სასკვების გაერთიანების დირექტორი, მირზაანის კოლმეურნეობის თავჯდომარე.

მან და მისმა მეუღლემ ცირა ბოსტოღანაშვილმა, რომელიც რამდენიმე წლის წინ გარდაიცვალა, გაზარდეს ორი შვილი. ჰყავს სამი შვილიშვილი, რომელთაც უზომოდ უყვართ პაპა და არასდროს დაივიწყებენ მის სახელს. არ დაივიწყებენ ამაგიან, ღვაწლმოსილ, ღვთისმოსავ გივის ახლობელ-ნათესავები და მეგობრები.

ნათელი დაუმკვიდროს უფალმა მის სულს სასუფეველში.

ღრმა მწუხარებით,

შვილები გოჩა და მანანა ბიკაშვილები

ხსოვნა

თინათინ მოსულიშვილი

ჩვენო ძვირფასო დედავ და ბებიავ, აგერ უკვე 19 სექტემბერს სამი წელი ხდება რაც დაგვტოვე. დაგვიტოვე სევდა და ტკივილი. იყავი უბადლო დიასახლისი, სტუმრის მიღებასა და გამასპინძლებაში ბადალი არ გყავდა, ყველას ჭკუაზე დამრიგებელი, დიდთან დიდი და პატარასთან პატარა. გული არ გეტკონოს დედა, ჩვენც შენს ტრადიციებს ვაგრძელებთ სტუმარ-მასპინძლობისას.

ჩემო კარგო, ჩვენს ოჯახში სიახლეა. ლევანი დაოჯახდა. კარგი გოგონაა მისი მეუღლე. დალოცე მაინდან. ესენი შენ დიდ ი სიყვარულით გიხსენებენ და შენდობას გითვლიან.

ნათელში იყოს შენი სული, ღმერთმა დაგიმკვიდროს სასუფეველი, განისვენე მშვიდად, სადაც მართალნი განისვენებენ.

იგორი მოსულიშვილი

შეფ-მზარეული ძმები ზემო მაჩხაანიდან

/დასაწყისი გვ.5/

დანარჩენი პრიზები ჯერ არ მოუციათ. მთავარი ფულადი ჯილდოს გადმოცემასაც ოქტომბერში ველოდები. მინდა გულწრფელად და თამამად, საჯაროდ ვთქვა ერთი რამ, ეს მხოლოდ ოჯახის წევრებთან მაქვს ნათქვამი. როდესაც მე და ჩემმა ძმამ პირველად მივიღეთ ამ პროექტში მონაწილეობა, გამარჯვებული ბინას იგებდა. მაგრამ არც მე და არც დიმა იმ მიზნით არ მივსულვართ, რომ ბინის გამო ყველაფერი გაგვეკეთებინა. საერთოდ არ გვაინტერესებდა პრიზები, თუ რას მოგვცემდნენ გამარჯვების შემთხვევაში. ჩვენ ამ პროექტში იმიტომ მივედით, რომ ჩვენი შესაძლებლობები ეკრანზე გამოგვეტანა და დაგვემტკიცებინა, რა შეგვიძლია. გამოგიტყდებით და ჩემი ჩანაფიქრი იყო, რომ „სამზარეულოს ომების“ ლოგო (თასი) მომეპოვებინა. პირველ სეზონში ეს ვერ მოვახერხეთ, მაგრამ მე და ჩემმა ძმამ მთავარი შევძელით, ხალხის დიდი სიყვარული მოვიპოვეთ. მეორე სეზონი რომ დაიწყო, შანსი მომეცა და რა თქმა უნდა, მეტი შემართებით ვიყავი. წინა სეზონისგან განსხვავებით უფრო მომზადებული მივედი, როგორც კერძებში, ასევე გონებრივად და ფსიქოლოგიურად. ყველაზე მთავარი ისაა, რომ ჩემს ცხოვრებაში დადგა ის მომენტი, როცა ჩემი ერთ-ერთი ოცნება და ჩანაფიქრი ავისრულე, ამდენი შრომის შემდეგ დამიფასდა.

–– სულ მაინტერესებს, მზარეულის ოჯახში საკვებს ძირითადად ვინ ამზადებს?

– სახლში ძირითადად ჩემი მეუღლე ამზადებს, მაგრამ თუ ვისვენებ, ვცდილობ, მე მოვამზადო ხოლმე, რადგან მეუღლესაც და ჩემს 8 წლის შვილსაც უყვართ ჩემს მიერ მომზადებული კერძები.

დიმიტრი: „სახლში ჩემი მეუღლე კარგ კერძებს აკეთებს, ეხერხება გემრიელი დესერტებიც. რა თქმა უნდა, არ ვიწუნებ (თუ დავიწუნებ, ჩემი გასაკეთებელი იქნება). როცა სტუმარი გვყავს, ან დღესასწაულებზე ვიკრიბებთ, მეგობრებსაც და ნათესავებსაც აინტერესებთ ჩემი ნახელავის გასინჯვა.

- ანუ, მანამდე ოჯახშიც გქონდათ კულინარიული ომები...

ომიკო: – დედაჩემსაც კარგი ხელი აქვს, ყველაფერს გემრიელს აკეთებს, ისიც მზარეულად მუშაობს სოფელ მირზაანში, ცივი კერძების პოზიციაზე. პატარები რომ ვიყავით, დედას ხშირად ვეხმარებოდით ხოლმე.

– რამდენად ხშირად ახერხებთ ზემო მაჩხაანში ჩამოსვლას და მშობლიურ ფესვებთან კავშირს?

– თავისუფალ დროს ყოველთვის ვცდილობ, ჩემს ზემო მაჩხაანში ჩამოვიდე. თვეში ერთხელ, ან ორ თვეში ერთხელ აუცილებლად რამოდენიმე დღის აქ გატარებას ვახერხებ. ერთი დღეც რომ გამოვნახო თავისუფალი, ისიც მინდა მაჩხაანში გავატარო. ხშირად იმიტომ ჩამოვდივარ, რომ მანდ დავიბადე და გავიზარდე, სადაც ფეხი ავიდგი, როგორ უნდა დამავიწყდეს ჩემი ზემო მაჩხაანი და ჩემი „პოლკაანთ“ უბანი. გული სიამაყით მევსება, როცა ჩემს სოფელში შემოვდივარ და განსაკუთრებით ჩემს სახლში.

დიმიტრი: „ძალიან მინდა, რომ ხშირად ჩამოვიდე ჩემს ქიზიყში, ჩემს ზემო მაჩხაანში, მაგრამ ხშირად ვერ ვახერხებ. როცა სოფელში ვარ, ეს მავსებს, ძალას მმატებს და ბევრ რამეს მაძლევს. ვნახულობ ჩემს მშობლებს, ბიძაშვილებს, მეგობრებს, ვისთან ერთადაც გავიზარდე. მაჩხაანი ჩემთვის ყველაზე საუკეთესო ადგილია მთელს დედამიწაზე“.

– კერძების გარდა, ხალხის სიყვარული იუმორითაც დაიმსახურეთ, ძალიან პოპულარული იყო თქვენი ვიდეოები...

ომიკო: – იუმორს რაც შეეხება, მართლა იუმორით სავსე ოჯახი ვართ... გვიყვარს იუმორი, კარგად ვხუმრობთ ხოლმე. ასე მგონია, ძალიან ბევრი სახალისო ამბავი გადაგვხდენია თავს და ხშირად ვყვებით ხოლმე.

დიმიტრი: „იუმორი ისეთი რამაა, ადამიანის განწყობიდან უნდა მოდიოდეს. დამეთანხმებით, კახელებს კარგი იუმორი გვაქვს. არ მინდა თავის ქებად ჩამეთვალოს, მაგრამ ბევრი კურიოზი და სასიამოვნო ისტორია მაქვს და ასე თუ ისე, იუმორიც კარგად გამომდის. როდესაც ანეგდოტების შოუში მიგვიწვიეს, არ მეგონა, ამდენ მოწონებას თუ დაიმსახურებდა ჩემი იუმორი. ზოგადად, ადამიანი რაც არის, საიდანაც მოდის, რომელი კუთხიდანაც არ უნდა იყოს, იდენტობა უნდა შეინარჩუნოს. როცა ბუნებრივი ხარ, იუმორიც უკეთესად გამოვა. ქიზიყური კილოკავით მოყოლილი ამბები ხომ სულ სხვაა...

ილია მარტყოფლიშვილი

ულოცავენ!

მარიამ სამუკაშვილს!

ჩვენო საყვარელო მარიამ, გილოცავთ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტობას. უფალს ვთხოვთ, რომ განათლების ამ ეროვნულ ტაძარში გამიზნულად გამოგეყენებინოს შესაძლებლობები და ღირსეულად გაგეკლოს დამოუკიდებელი ცხოვრების გზა

შენი კეთილისმსურველი პაპები: კაკო სამუკაშვილი და მევლუდ გიგოლაშვილი; **ბებიები:** მარინა ქვრივიშვილი და ლალი ბასილაშვილი.

თეა გიგოლაშვილს! გოჩა სამუკაშვილს!

ჩვენო ბავშვობის მეგობარო, ჩვენო თეა, მთელ ოჯახს გულწრფელად გილოცავთ თქვენი ქალიშვილის მარიამ სამუკაშვილის დედა უნივერსიტეტში ჩარიცხვას. გვიხარია მისი წარმატება და გვჯერა, რომ გენეტიკური ნიჭიერება და მიზანსწრაფული ხასიათი მას დაეხმარება ყველა მიზნის მიღწევაში. გაიხარეთ და იყავით ბედნიერები, უფლის წყალობა არ მოგკლებოდეთ!.

სიყვარულით, ზურაბ და მაგდა პოპიაშვილები **ოჯახებით.**

ზურიკო და მარინა ტუხაშვილებს!

დიდი სიყვარულით და სიხარულით გილოცავთ შვილის - ილია ტუხაშვილის მიერ კავკასიის უნივერსიტეტის წარმატებით დამთავრებას და ფინანსისტ ანალიტიკოსად სამსახურის დაწყებას. ასევე გილოცავთ მესამე შვილის - გიორგი ტუხაშვილის პირველ კლასში შესვლას. ვუსურვებთ თავის და-ძმასავით წარმატებული ყოფილიყოს. ჩვენო საამაყო შვილიშვილებო-ილია, ანა და გიორგი იყავით ჯანმრთელები, ბედნიერები და სამაგალითონი პირად ცხოვრებაში. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

თქვენი ბებიები: ლარისა პეჩნიკოვა, ეთერი ტუხაშვილი.

ზეინალ მოდებაძეს!

მწიგნობართა ასოციაციის გამორჩეულ წევრს, ოქროს სპონსორს, საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა ნომინაციებში გამოვლენილ ნომინანტს, მათ შორის საუკეთესო პირველ კერძო მეწარმეს და თამადას ბატონ ზეინალს ვულოცავთ 75 წლის იუბილეს! რძის პროდუქტების ტექნოლოგიების მაღალპროფესიონალი ბრძანდებით და რამხელა ბედნიერებაა, რომ თქვენი დიდი ოჯახი თქვენს გაკვალულ გზას მიჰყვება.

პატივისცემით დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაცია.

მადლიერება!

ზაფხულის გვალვის დადგომასთან ერთად სასმელი წყლის დეფიციტი ქალაქ დედოფლისწყაროს მაცხოვრებლებისათვის უცხო არ არის, თუმცა ,ჩვენ დიდი იმედით ველოდებით იმ დიდი პროექტის დამთავრებას, რომელიც უზრუნველყოფს ქალაქის სასმელი წყლით 24 საათიან მომარაგებას.

ქ. დედოფლისწყაროს ჰერეთის ქუჩაზე მდებარე №15 და №49 კორპუსის მაცხოვრებლებს ზაფხულის პერიოდში წლების განმავლობაში გვაწუხებდა უწყლოობა. მიმდინარე წლის ზაფხულში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა და გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დედოფლისწყაროს ფილიალის მენეჯერმა დავით დულაშვილმა გულთან ახლოს მიიტანეს ჩვენი პრობლემა და როდესაც გრაფიკით გათვალისწინებულ დღეებში წყალი ვერ ამოდის ყველა სართულზე, მეორე დღესვე კორპუსებში აგზავნიან წყლისავზიან მანქანას და აღნიშნული კორპუსის მაცხოვრებლები ვიღებთ ჩვენთვის საჭირო რაოდენობის წყალს. ხშირად პირადად რეკავს ბატონი დავითი ტელეფონით და აზუსტებს, ყველა სართულზე ავიდა თუ არა წყალი. ბატონი ნიკოლოზ ჯანიაშვილის და ბატონი დავით დულაშვილის დახმარებით წელს ზაფხულში ჩვენ არ გვიგრძვნია უწყლოობა, რისთვისაც ზემოაღნიშნული კორპუსის მაცხოვრებლები დიდ მადლობას ვუხდით მათ ამ გულისხმიერებისთვის და ვუსურვებთ წარმატებას.

ხელს აწერენ:

გელა კვირიკაშვილი, ია ბუნტური, დემნაზი სულაშვილი, ვაჟა ცქიტიშვილი, თეკლა ცათიაშვილი, მარინა შეითნიშვილი, ანა ჰუსაინოვა, მაკა კოდელაშვილი, თეიმურაზ ბატიაშვილი, მანანა ოზგეთელაშვილი, დავით ნატროშვილი, ნელი გონაშვილი, ნათელა აბულაშვილი, ჯულიეტა პოპიაშვილი, სპარტაკ ლაპიაშვილი, ნინო გოგილაშვილი, შოთა ჯამასპიშვილი.

ამინდი

დედოფლისწყარო

	ორშაბათი 19.09	სამშაბათი 20.09	ოთხშაბათი 21.09	ხუთშაბათი 22.09	პარასკევი 23.09	შაბათი 24.09	კვირა 25.09
დღე	29°	28°	28 °	26 °	26 °	24 °	21 °
ღამე	16 °	14 °	15 °	14 °	14 °	13 °	11 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორის მაგიერ **ილია მარტყოფლიშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი; ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
591 09-24-65 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.